



ციბეხანი

№ 129 / 25 - 31 მარტი / 2013

ახალი მსოფლიო წესრიგი **გვ. 08**

როგორ დაკომპლექტდება იუსტიციის საბჭო? **გვ. 18**

ქართული შეღავათები ჩინურ „კეპელას“ **გვ. 22**

სესხთან თამაში **გვ. 28**

ავტოავარია კოსტავას გამზირზე **გვ. 32**

ადამიანი მანკიერ წრეში **გვ. 40**

ენის დარღვეული ეკოლოგია **გვ. 45**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008



უსუფაშვიდი ყვანას წინააღმდეგ

გვ. 12

6.16.19

რაც დარჩა სათქმელი

ყოვანი შაბათს 22:00

შენს დასრულებულ
დასრულებულს
დასრულებულს,
რაც, რაც ყველაზე
დასრულებულს.

სადაც დასრულებული, ვინც
ყოვანი შაბათს
დასრულებული.



მთავარი რედაქტორი

შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი

ნინო ბექიშვილი

რედაქტორები

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

ჟურნალისტები:

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრაბუსტები:

გია მასიაშვილი, გიორგი მგელაძე, სილოვან შტიობერი, მანანა ვარდიაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ფირმა

ქეთევან ბაბუნაშვილი

ბაყიდვევისა და ბიზნესის

ბანკითარების მენეჯერი

რუსუდან ბარათაშვილი

ბაყიდვევის ფირმა

ქეთევან ქავთარაძე

მარკეტინგის მენეჯერი:

ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მაჭუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები

დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge



პირველი სარედაქციო სვეტია, რომელსაც „ლიბერალისთვის“ ნაბახუსევი ვწერ. ზოგადად, ხშირად ვარ ხოლმე ნაბახუსევი, მაგრამ ამ მდგომარეობაში „ლიბერალის“ რედაქტორის სვეტი აქამდე არ დამინერია.

რთული კვირა იყო. ხუთშაბათს მთელი საქართველო პარლამენტის სხდომის ტრანსლაციას იყო მიჩერებული. მგონი, პირველად 90-იანი წლების შემდეგ. გადანყდა, რომ პრეზიდენტს, პარლამენტის თანხმობის გარეშე, მთავრობის დათხოვნა აღარ შეეძლება.

თითქოს არაფერი – „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ერთხმად გვიმტკიცებდნენ, რომ ეს საკითხი მათთვის სრულიად უმნიშვნელოა; თითქმის ფორმალობაა და ლაპარაკადაც არ ღირს. თუმცა ყველას გვახსოვს, რამდენს საუბრობდნენ ამ საკონსტიტუციო ცვლილებაზე ორივე პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები ბოლო თვეების განმავლობაში.

როგორც ჩვენთვის, შორიდან დამკვირვებლებისთვის ჩანს, ბიძინა ივანიშვილმა შეისრულა პოლიტიკაში მოსვლისთანავე გაცხადებული მიზანი - გადაჭრა ქვეყანაში არსებული „ერთი კაცის პრობლემა“ და ნაციონალურ მოძრაობას მიაღებინა გადანყვეტილება, რომელსაც დიდი ალბათობით, აქამდე უაღმთესივით ლიდერი სააკაშვილი არ ეთანხმება.

ივანიშვილი-საკაშვილის სამკედრო-სასიცოცხლო პოლიტიკურმა ორთაბრძოლამ სრულიად შთანთქა ბოლო თვეების საზოგადოებრივი ცხოვრება. ხუთშაბათს გაჩნდა იმედი, რომ ეს დესტრუქციული დუელი დასრულდა.

ცხადია, ყველა ბრძოლას ყავს თავისი გამარჯვებული. ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ეს დავით უსუფაშვილია. საქართველოს უახლეს ისტორიაში იშვიათად მოქცეულა რომელიმე პოლიტიკოსი ასე ღირსეულად. მან თქვა ის, რასაც ორივე დაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლებმა ტაში დაუკრეს და ეს არც ერთი მხრიდან არ იყო მლიქვნელობა.

ალბათ შაბათ-კვირა ამ სიამტკილობაში ჩაივლის. ბახუსიც მოვილიეთ. დღეს კი ახალი კვირა იწყება, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, სააკაშვილის გარეშე.

*ირაკლი აბსანძე,
პოლიტიკის რედაქტორი*



ენის დახლვეუდი ჯაოლობია

ქართული ენა დღეს თავისუფალ დინებასაა მიყოლილი. ქვეყანაში არ არსებობს რაიმე ორგანო, რომელიც ენის ნორმებს დაიცავდა და გააკოტროლებდა. არადა ენა ვითარდება და დადგენილი ნორმები წლების განმავლობაში იცვლება. ენათმეცნიერები ამბობენ, რომ ეს ბუნებრივი პროცესია, თუმცა ენის დინებაზე მიშეება გაუმართლებელია.

თუ ქვეყნისთვის სახელმწიფო ენა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ხელისუფლებამ ენის განვითარებაზე უნდა იზრუნოს, რაც კომპლექსურ მიდგომას და სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქართული ენის სინმინდის დაცვა იყო, როგორც ჩანს, მის წევრებს ჯერჯერობით ამ საკითხზე ფიქრიც კი არ დაუნყიათ. „ლიბერალის“ კითხვაზე, თუ რა იგეგმება და რას აპირებენ ქართულ ენასთან დაკავშირებით, პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ივანე კილურაძე გეპასუხობს, რომ ამ საკითხის შესახებ არაფერი იცის.

უკუაზვიდი ყვიანს წინააღმდეგ

სუთშაბათის საპარლამენტო სხდომაზე ნათლად აჩვენა, რომ ექვიანმა პოლიტიკოსმა ივანიშვილმა მიზანს მიაღწია – ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო ათი წლის განმავლობაში სააკაშვილისგან დამოუკიდებელი პირველი გადაწყვეტილება მიიღო. რაც არ უნდა ამტკიცონ ყოფილი მმართველი გუნდის ლიდერებმა, „ქართული ოცნების“ სარეიტინგო კენჭისყრაზე თანხმობა დამარცხებული მეტოქისადმი თავაზიანი შესტი უფრო იყო, ვიდრე კომპრომისი.

დრო გვაჩვენებს, იყო თუ არა გასული საპარლამენტო კვირა სააკაშვილის ეპოქის დასასრული, მაგრამ დღეს სრულიად ცხადია, რომ დავით უსუფაშვილის სახით საქართველოში სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკოსი დაიბადა.

ირაკლი აბსანძე
83.12

ხოზოხი დახომჯიანხება იუსტიციის საბჭო?

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, მისი დამტკიცების შემთხვევაში საბჭოში პარლამენტის დეპუტატები აღარ შევლენ, თუმცა, მას ისევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის სანდრო ბარამიძის თქმით, პირადად თვითონ ამის წინააღმდეგია, მაგრამ რადგან წესი კონსტიტუციითაა განსაზღვრული, უცვლელი დარჩება. ახალი კანონპროექტის მიხედვით პრეზიდენტი საკუთარ წარმომადგენლებს ვეღარ დანიშნავს, პარლამენტი კი წევრებს არა საკუთარი რიგებიდან, არამედ ძირითადად არასამთავრობო და სამეცნიერო წრეებიდან აირჩევს.


ზურაბ ვარდიაშვილი
83.12



ეკა მაღალაძე
83.45

სახსთან თამაში


კომერციულ ბანკებთან, კერძო იპოთეკარებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ქონების უზრუნველყოფით დადებული სასესხო ხელშეკრულების დარღვევის გამო 2012 წელს საცხოვრებელი ბინა 718-მა ოჯახმა დაკარგა. გადაუხდელი ვალის გამო საკუთარი სახლიდან გამოსახლება ამჟამად 500 ოჯახს ემუქრება. იუსტიციის სამინისტროში იპოთეკის სამართალზე მომუშავე კომისია ამ დრომდე სულ ორჯერ შეიკრიბა. შესაბამისად, როდის მიიღებს დასრულებულ სახეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, ჯერ უცნობია.

 მანანა ვარდიაშვილი
03.28

აქამენსახი

ახალი მსოფლიო წესრიგი



 გია მაისაშვილი
03.08

ნომერში:



ფოტო: სურენ კვიციანი

- 04 მოკლედ
ორი აზრი
- 06 უნდა მოხდეს თუ არა რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირება დღეს?
კომენტარი
- 08 ახალი მსოფლიო წესრიგი
პოლიტიკა
- 12 უსუფაშვილი ყველას წინააღმდეგ
- 16 ცელერი: „ის ძალები ყვეფენ, ვისაც მოხვდა“
სამართალი
- 18 როგორ დაკომპლექტდება უსტიციის საბჭო?
ეკონომიკა
- 22 ქართული შეღავათები ჩინურ „პეპელას“
- 28 სესხთან თამაში
ჟურნალისტური გამოძიება
- 32 ავტოავარია კოსტავას გამზირზე
საზოგადოება
- 40 ადამიანი მანკიერ წრეში
- 45 ენის დარღვეული ეკოლოგია
- 48 **ციტატები**

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ბაიხო: მსოფლიოს მოსახლეობისთვის მობილური ტელეფონი უკიდურესად ხელისაწყო, ვიდეო ტელეფონი



გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების გლობალურ კამპანიაში ერთვება. გაერთიანებული ერების გენერალური მდივნის მოადგილე იან ელისონი მსოფლიოში უკიდურეს სიღარიბესა და უზარმაზარ უთანასწორობას „მდუმარე კატასტროფას“ უწოდებს.

ელისონმა ხუთშაბათს პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ მსოფლიოს და გაეროს მიზნები უნდა გაერთიანდეს და სანიტარიის გარეშე მყოფი 2.5 მილიარდი ადამიანი მოიცვას. მსოფლიო ლიდერებმა სანიტარული მიზნები ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღმა დატოვეს.

ელისონი ამბობს, რომ კარგი სანიტარული პირობები უზრუნველყოფს გულის ჯანმრთელ მდგომარეობას, სუფთა გარემოსა და მილიარდობით ადამიანის ფუნდამენტური ღირსების საკითხს ეხება.

სანიტარული პირობების არარსებობა დიარეის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. დიარეა ყოველ წელს 5 წლამდე ასაკის 750 000 ბავშვის გარდაცვალებას იწვევს.

ელისონის განცხადებით, მსოფლიოს 22 ქვეყანაში მოსახლეობის 80 პროცენტს სანიტარული პირობები მონესრიგებული არ აქვს. ეს ქვეყნები არიან: ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი,

ინდონეზია, კამბოჯა, ეთიოპია, კენია, მადაგასკარი, მალავი, მოზამბიკი, ნეპალი, ნიგერია, პაკისტანი, სიერა ლეონე, ზამბია, ავღანეთში, ბურკინა ფასო, ჩადი, კონგოს, ნიგერი, სუდანი და სამხრეთ სუდანი.

კვიპროსის კვიპროსის ბანკებში ხსნი მონაბეჭების საბანკო ანაბრების დაბეჭვას უნიწინააღმდეგება

კვიპროსის ისტორიაში ყველაზე დიდი საბანკო კრიზისის მოსაგვარებლად ქვეყნის პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადის საბანკო ანაბრების დაბეჭვას მიიჩნევს. ევროზონის სახემწიფოები მთავრობისგან 100 ათას ევრომდე მოცულობის ანაბრების 6.75 % პროცენტით, ხოლო ამ ოდენობაზე მეტი ანაბრების 9.9%-ით დაიბეჭვას მოითხოვდა. ამგვარად კვიპროსის მოსახლეობა 5.8 მილიარდი ევროს მობილიზებას მოახდენდა.



პრეზიდენტის ეს ინიციატივა პარლამენტმა არ დაამტკიცა და პროექტმა ვერცერთი ხმა ვერ მიიღო. პარლამენტმა კონსულტაციების დროს შესწორებულ ვარიანტსაც არ დაუჭირა მხარი.

კვიპროსის საბანკო ანგარიშების უმეტესობას, დაახლოებით 30 მილიარდს რუსი მონაბრეების ანაბრები შეადგენენ. ვლადიმერ პუტინი კვიპროსის ხელისუფლების გადანაცვლებას უსამართლოდ და არაპროფესიულად მიიჩნევს.


ხუთშაბათს მოსკოვში კვიპროსის დელეგაცია ჩავიდა, რომელიც რუსეთისგან დახმარების მიღებას ფიქრობდა, თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

მოსკოვთან მოლაპარაკებაზე მყისიერი რეაქცია ჰქონდა ევროკავშირს. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა კვიპროსის პრეზიდენტს კრიზისიდან გამოსავალის ევროზონის ფარგლებში მოძებნისკენ მოუწოდა.

ჯერჯერობით ცნობილია, რომ კვიპროსის ბანკები სამშაბათამდე არ გაიხსნება. ამგვარად ბანკები და მთავრობა ანაბრების გატანას აჩერებს, რაც, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ კრიზისს კიდევ უფრო გაართულებს. პრეზიდენტი ნიკოს ანასტასიადისთან შეხვედრის შემდეგ კვიპროსის არქიეპისკოპოსმა ქრისტოსტომოსმა განაცხადა, რომ ეკლესია მზად არის სამთავრობო ფონდებში ინვესტიცია განახორციელოს.

კვიპროსის ხსნი ანაბრები

20 მარტს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხთა კომისიამ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესის ამსახველი ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2012 წლის მოვლენებს ეხება. საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშში ევროკავშირი აღნიშნავს, რომ 2012 წლის განმავლობაში ბრიუსელისა და თბილისის პოლიტიკური დიალოგი ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების მიმართულებებით საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. საქართველომ 2012 წლის განმავლობაში ასევე წინ წაინია სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების მიმართულებებითაც. იყო პროგრესი კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისითაც. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები აღინიშნა უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული ძალაუფლების გადაცემის ფაქტით, თუმცა ევროკომისიის შენიშვნები ისევ დარჩა მედიისა და სასამართლო სისტემის მიმართ.



ევროკავშირი საქართველოს ახალ რეკომენდაციებს სთავაზობს და აცხადებს, რომ 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყანამ 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინ გამოასწოროს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ის ნაკლოვანებები, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) მიერ არის იდენტიფიცირებული, უზრუნველყოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის როლების პატივისცემა კონსტიტუციის შესაბამისად; უზრუნველყოს, რომ, თუკი დაგეგმილია საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება, ქვეყნის მასშტაბით და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიასთან ცვლილებები განიხილოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ დროს გაუძღონ. მოახდინოს მართლმასჯულების სისტემის რეფორმირება იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასამართლოს სრული დამოუკიდებლობა, სისხლის სამართლის პოლიტიკა და პრაქტიკა კი ევროსაბჭოს სტანდარტებს უნდა დაუახლოვდეს.

ევროკავშირის რეკომენდაციით, საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლო პროცესები იყოს თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკუ-

რი მოტივაციისაგან იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი აღქმა შერჩევითი სამართლის შესახებ. საქართველომ უნდა ჩაატაროს გამჭვირვალე, დამოუკიდებელი გამოძიება სასჯელალსრულების სისტემაში წამებისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ. ასევე უნდა განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები ამ სისტემაში ასეთი ფაქტების პრევენციისათვის.


ამასთანავე უნდა უზრუნველყოს შიდა და გარე ეფექტიანი მონიტორინგის წარმოება ცუდი მოპყრობისა და პატიმრების არასათანადო მკურნალობის ფაქტების გამოსავლენად. საქართველომ უნდა გააგრძელოს და უფრო ინტენსიური გახადოს დიალოგი და თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან შრომის კოდექსის თაობაზე. ასევე, უნდა მიიღოს ამომწურავი ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელმაც უმცირესობების უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს, მათ შორის პატივი უნდა სცენ რელიგიური უმცირესობების უფლებებს.

აშშ-ის ჰიჯიბენტი ისრაელს ეწვია

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ისრაელს ეწვია. თეთრი სახლის განცხადებით, ვიზიტი მიზნად ისახავდა

ისრაელის უსაფრთხოების მიმართ შეერთებული შტატების მხარდაჭერის დადასტურებას.

ისრაელში პრეზიდენტობის რანგში პირველი ვიზიტის დროს ბარაკ ობამამ პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად განაცხადა, რომ ისრაელი და აშშ ირანიდან მომავალ ბირთვულ საფრთხესთან დაკავშირებით ერთიან პოზიციაზე დგანან.

რეგიონში ოთხდღიანი ტურნეს დროს, ობამა ისრაელის გარდა პალესტინას ეწვია. თეთრი სახლის განცხადებით, მხარეებმა პალესტინელებსა და ისრაელს შორის სამშვიდობო პროცესის გააქტიურების გზებზე იმსჯელეს. ობამას ტურნე იორდანიაში ვიზიტით დასრულდება. მეფე აბდულასთან საუბრის მთავარ თემად იორდანის მეზობელ სირიაში მიმდინარე სისხლისმღვრელი დაპირისპირება – ომი სახელდება, რომელსაც უკვე 70 000-მდე ადამიანი შეენირა. 



ფიქრია ჩიხრაძე


ახალი მემარჯვენეების ლიდერი

ისეთი ვნებათაღელვა, როგორც სამწუხაროდ, რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტიის თაობაზე გაჩაღდა, ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ფობიებს ჭარბად კვებავს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ თავად ქარტია ოფიციალურ და რეგიონულ ენებს არ განიხილავს ენათა და კულტურათა ანტაგონიზმის ქრილში და პირიქით – ცდილობს ხელი შეუწყოს ჰარმონიული თანაარსებობის პრინციპს. ამასთან, ქარტია მკაფიოდ განმარტავს, რომ რეგიონული ან უმცირესობების ენების დაცვა და ხელშეწყობა უნდა ხორციელდებოდეს ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული დაცვის პირობებში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოები განსხვავებულად უდგებიან ამ ქარტიის რატიფიცირების საკითხს და, შესაბამისად, გამოცდილებაც სხვადასხვაგვარი დაგროვდა. არის რიგი ქვეყნებისა, რომელთაც მოახდინეს ქარტიის რატიფიკაცია და ამას მათთვის არავითარი უარყოფითი შედეგი არ მოჰყოლია. არის ქვეყნები, სადაც ქარტიის რატიფიცირებამ სერიოზული პრობლემები შექმნა (მაგ. საფრანგეთი, უკრაინა).

საერთოდ, ევროსაბჭოს 48 ქვეყნიდან მხოლოდ 24-მა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს ბალტიის ქვეყნების პოზიცია, რომლებიც, როგორც ყოველთვის ამ საქმეშიც უაღრესად პრაგმატულები, რაციონალურები და თანმიმდევრულები არიან. მათ არ მოუხდენიათ ქარტიის რატიფიცირება, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებას თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე განსხვავებული მექანიზმები შესთავაზეს. ლიტვამ შექმნა პროგრამა „ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის შესახებ“; ლატვიამ – ასევე პროგრამა „ლატვიის საზოგადოების ინტეგრაციის შესახებ“, ხოლო ესტონეთმა – „კანონი ეროვნული უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ“.

საქართველომ უნდა იმოქმედოს არსებული გამოცდილების გათვალისწინებით და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, ქვეყნის სუვერენიტეტი საფრთხის ქვეშ დგას, ქვეყნის გარედან არსებობს საფრთხე სეპარატიზმის წახალისებისა. ამ ეტაპზე ქარტიაზე პოლემიკის განახლება ახალქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებამ მოახდინა. საქართველოს სახელმწიფოს დღეს ჯავახეთში სამოქალაქო ინტეგრაციის და სახელმწიფო ენის სრულფასოვანი გამოყენების პრობლემა უდგას და სწორედ აქედან არის მისამართი მთელი ძალისხმევა. ჩვენ არაფერს გვარგებს ამ საკითხზე სახიფათო პოლემიკის გაგრძელება და, მით უფრო, აუხსნელი დაჩქარებით გადაწყვეტილების მიღება, რათა ინტეგრაციის ნაცვლად დეზინტეგრაციული პროცესი არ მივიღოთ. **■**



უნდა მოხდეს თუ უმსიხარობების ქახილის ხახიფ

■ ჩვენ არაფერს გვარგებს ამ საკითხზე სახიფათო პოლემიკის გაგრძელება და, მით უფრო, აუხსნელი დაჩქარებით გადაწყვეტილების მიღება, რათა ინტეგრაციის ნაცვლად დეზინტეგრაციული პროცესი არ მივიღოთ.



ახა ხაბიონი და ენების ეხიონი მისიხაბა დლას?

■ ნაციონალები არმენოფობიის პროვოცირებას ცდილობენ. მაგალითად, ბოლო 2-3 თვის მანძილზე პრეზიდენტი ამნისტირებულ პატიმრებზე უარყოფითად საუბრისას ძალიან ხშირად ახსენებს პატიმრებს, რომელთა გვარიც იან-ზე ბოლოვდება.

არნოდ სტეფანიანი

„მრავალეროვანი საქართველოს“ ხელმძღვანელი

საქართველომ 1999 წელს ხელი მოაწერა რეგიონალური ენების დაცვის ქარტიის რატიფიცირების ვალდებულებას. სხვათა შორის, გადაწყვეტილებას ხელი თავად მიხილ სააკაშვილმა მოაწერა, რომელიც იმ დროს იურიდიული კომიტეტის თავჯდომარე იყო. რატიფიცირების დრო და ფორმა წინასწარ განსაზღვრული არაა და პარლამენტს შეუძლია თავად აირჩიოს პუნქტები, რომელთა რატიფიკაციაც სურს.

ქარტიის რატიფიცირება ზოგადად საჭიროა. ქვემო ქართლსა და სამცხეთ ჯავახეთში მოსახლეობის უმეტესობას ქართული არ ესმის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაცია რუსულად სომხურად ან აზერბაიჯანულად ხდება. ამით ყოველდღიურად ირღვევა კანონი, ქართული ენის არცოდნა კი წლების განმავლობაში პოლიტიკური სპეკულაციის საშუალება იყო. მოსახლეობა ქართულენოვან საინფორმაციო სივრცეს მოწყვეტილი და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ არაინფორმირებულია. ეს ქარტია მათ გარკვეულ შესაძლებლობებს გაუხსნის.

თუმცა, დღეისთვის ამ ქარტიის რატიფიცირება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რადგან მის შესახებ მოსახლეობაში უამრავი სტერეოტიპი არსებობს და მოქალაქეები ვერ ხვდებიან, რაზეა საუბარი. ასეთ პირობებში ქარტიის რატიფიცირებამ შესაძლოა უკუშედეგი მოიტანოს. ახლა კი აშკარაა საკითხით მანიპულირებას როგორ ცდილობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პარტია ცდილობს ელექტორატი შეიცვალოს და ამომრჩევლის მხარდაჭერა ნაციონალისტური სეგმენტის პროვოცირებით მოიპოვოს. ამ სეგმენტის გააქტიურება კი ყველაზე კარგად ფობიებით შეიძლება. ვიცით, რომ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფობია საქართველოში არმენოფობიაა. ნაციონალები სწორედ ამ ფობიის პროვოცირებას ცდილობენ. მაგალითად, ბოლო 2-3 თვის მანძილზე პრეზიდენტი ამნისტირებულ პატიმრებზე უარყოფითად საუბრისას ძალიან ხშირად ახსენებს პატიმრებს, რომელთა გვარიც იან-ზე ბოლოვდება.

თუმცა, ნაციონალური მოძრაობა ამ თემებით ღიად აპელირებას ვერ ახერხებს, რადგან დასავლეთის თვალში პარტიის იმიჯი სწორედ ლიბერალური ღირებულებების დაცვას ემყრება და არა ნაციონალისტურ დისკურსს. ამიტომ ცდილობენ ისეთი სქემები შექმნან, რომ მათი მონაწილეობა არ გამოჩნდეს. მაგალითად, ახალქალაქის საკრებულოს ის სამი წევრი, რომელმაც რატიფიკაციის საკითხი დღის წესრიგში რესპუბლიკური პარტიის წევრების სახელით დააყენა, სინამდვილეში კონტროლდება ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, ნაციონალური მოძრაობის წევრის, სამოელ პეტროსიანის მიერ. ეს დეპუტატები წლების მანძილზე თავად იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წევრები და რესპუბლიკურ ფრაქციაში მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გადავიდნენ. **■**

ახალი მსოფლიო წესები

250 წლის მანძილზე პირველად, დასავლეთი უკვე ერთპიროვნულად ველარ წყვეტს კაცობრიობის ბედსა და პრიორიტეტებს. ცენტრალური როლის დაკარგვის განცდა, დასავლეთში შიშს და იდენტობის კრიზისს იწვევს.

გია მაისაშვილი

წინა სტატიის ვნერდი, რომ მსოფლიოში ძირითადად სამი ემოციური ზონაა: იმედი, შიში, და-მცირება.

ვთქვი ისიც, რომ იმედის ძირითადი რეგიონი აზია გახლავთ, სადაც სოციალური და ეკონომიკური გაუმჯობესების მაღალი ტემპია. აზიის მოსახლეობის საშუალო ფენის დიდი უმრავლესობა, არა მარტო ილენის იმისათვის, რომ დასავლეთს დაენიოს, არამედ სრულად დარწმუნებულია, რომ ეს მალე მოხდება.

აღმშენებლობის პროცესი იქ უსწრაფესი ტემპით მიმდინარეობს. ის, რაც ამერიკაში ერთ წელზე მეტ ხანს მოითხოვს, ჩინეთში ერთ კვირაში მთავრდება. ყველაზე საწყენი ისაა, რომ თითქოს ამერიკელები შეეჩვივნენ კიდევ აზრს, რომ ამერიკის საუკეთესო ხანა წარსულში იყო, ჩინეთისა კი მომავალშია. ეს განცდა მეტად გავრცელებულია მთელ ამერიკაში, სადაც პოპულარულია მოსაზრება, რომ თუკი მე-19 საუკუნე ეკუთვნოდა დიდ ბრიტანეთს, 20-ე – ამერიკას, 21-ე ჩინეთის იქნება.

250 წლის მანძილზე პირველად, დასავლეთი უკვე ერთპიროვნულად ველარ წყვეტს კაცობრიობის ბედსა და პრიორიტეტებს. ცენტრალური როლის დაკარგვის განცდა, დასავლეთში შიშს და იდენტობის კრიზისს იწვევს. ეს განცდა აერთიანებს დასავლური ცივილიზაციის ორ ტოტს – ამერიკულსა და ევროპულს. როგორი განსხვავებაც არ უნდა იყოს მათში, ორივე შტო ერთი და იმავე გამოწვევის წინაშეა – გლობალიზაცია ექსკლუზიურად მათ უკვე აღარ ეკუთვნით. განცდა, რომ საკუთარი მომავლის კონტროლი დაკარგეს, იმ შიშის მთავარი წყაროა, რომელსაც

დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანა იზიარებს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და დასავლური პოლიტიკური პროცესის პარალიზება, შემოსავლებს შორის არნახული დიფერენციაცია, სიმდიდრის უსამართლოდ და დაუმსახურებლად არათანაბარი განაწილება, მოქალაქეებს დასავლეთის ორივე შტოს წარმომადგენელ ქვეყნებში დემოკრატიული მოდელის, დემოკრატიული იდეალების გაუფასურების განცდას უქმნის. ეს მოზღვავებული შიში ამცირებს იმ ხარისხობრივ უპირატესობას, რაც ერთ დროს დემოკრატიულ რეჟიმებს არადემოკრატიულ რეჟიმებთან მიმართებაში ჰქონდათ.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ევროპა პრობლემის გადაჭრის ნაცვლად თავად ხდება პრობლემების წყარო. არადა, სულ ცოტა ხნის წინ, 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემა ევროპის იმედის განცდისა და კულტურის სიმბოლური კულმინაცია იყო, როდესაც ევროპის მთელ კონტინენტზე ზეიმობდნენ იმ კედლის დაცემას, რომელიც ევროპას ორად ყოფდა. დღეს კი, სამწუხაროდ, იქმნება განცდა, რომ ევროპელებს კვლავ სურთ კედლის აღდგენა, რომელიც მათ დაიცავდა დანარჩენი სამყაროსგან, დაიცავდა ევროპას

კონკურენციისაგან, სამხრეთული ქვეყნებიდან იმიგრაციისაგან, ისლამური ტერორიზმისაგან და ა.შ. მიუხედავად აღნიშნულისა, ევროპას კვლავაც აქვს ნიშური ბრწყინვალეების სფეროები, ეკონომიკური სიძლიერის არეები, როგორცაა – ფუფუნებისა და მაღალხარისხიანი საგნების ინდუსტრია; ატომური ენერგეტიკა საფრანგეთში; ზუსტი ხელსაწყოების,

■ დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ევროპა პრობლემის გადაჭრის ნაცვლად თავად ხდება პრობლემების წყარო. არადა სულ ცოტა ხნის წინ, 1989 წელს ბერლინის კედლის დაცემა ევროპის იმედის განცდისა და კულტურის სიმბოლური კულმინაცია იყო, როდესაც ევროპის მთელ კონტინენტზე ზეიმობდნენ იმ კედლის დაცემას, რომელიც ევროპას ორად ყოფდა.



დანადგარების და მანქანათმშენებლობა გერმანიაში; საერთაშორისო მაღალი ფინანსები ლონდონში; საოჯახო ბიზნესის დინამიზმი იტალიაში. საკითხავია, ეს თუ იქნება საკმარისი ევროპული კონტინენტის ეკონომიკური დაკნინებისაგან დასაცავად?

ევროპელებმა მეორე დიდი დეპრესიის თავიდან არიდება რომც მოახერხონ, მომავალი თანმიმდევრული დაღმასვლა თითქმის გარდაუვალია. სულ ერთი კვირაა, რაც ლონდონიდან დავბრუნდი და გამიჩნდა განცდა იმისა, რომ არის სრული გაურკვეველობა და შეშფოთება იმის გამო, თუ რას ემსგავსება ევროპა. იქ განსაკუთრებით სამხრეთის ქვეყნებიდან, ჩრდილო აფრიკიდან მომავალი ღარიბი მასების ემიგრაციის ეშინიათ.

მრავალი ევროპელის გონებაში ბარბაროსები არა მარტო მოადგნენ ევროპის კარს, არამედ უკვე ციხესიმაგრის კედლებზეც გადაცოცდნენ, კალიებივით შემოესივნენ და ევროპულ საზოგადოებას სამართადისოდ ცვლიან.

როცა ამერიკაზე ვსაუბრობ, გასათვალისწინებელია ის, რომ ეს ქვეყანა ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

მე იქ მივიღე განათლება და ჩამოვყალიბდი როგორც პროფესიონალი. ამერიკა ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ განათლების წყარო და ადგილი, რადგან ამერიკამ პოლიტიკურ ლტოლვილობაში ყოფნისას მაჩუქა სიცოცხლე, მომცა იმედი, სასოება, ოჯახი, შვილები, ოცნებების აღსრულება. ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლის წლებმა ჩემი ცხოვრება მრავალმხრივ შეცვალა. მაგრამ სამწუხაროდ, 2001-2012 წლების ამერიკა არ ჰგავს 90-იანი წლების დასაწყისის ამერიკას, რომელმაც ჩემი ცხოვრება განსაზღვრა. ამიტომ ამერიკის შემთხვევაში არ ვარ ნეიტრალური დამკვირვებელი და მაინც ვიტყვი, რომ ამერიკაც ევროპასთან ერთად არის დაეჭვებული და შიშით აღსავსე. იქ ხშირად კითხულობენ: დავკარგეთ ჩვენი მორალური უპირატესობა? დავკარგეთ ჩვენი უნიკლური ეროვნული მისია და ჩვენი ადგილი მსოფლიოში? დაიწყო ჩვენი დაღმასვლა? ისინი უკვე ეჭვქვეშ აყენებენ თავიანთი მოდელისა და სისტემის უნივერსალისზმსა და ეფექტურობას. ტრადიციულად ამერიკული ოპტიმიზმი, იდეალიზმი, ინდივიდუალიზმი, გამომგო-

ნებლობა, პროფესიონალიზმის კულტი, რწმენა საკუთარი უნიკალურობისა და ამერიკული ოცნებისა, ამერიკული წარმატების სტრატეგიის მთავარი შემადგენელი იყო. ახლა ამერიკელების ნაწილი ამ ამერიკული ღირებულებების უნიკალურობაში ბზარს ხედავს. ამასთანავე ობიექტურად ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკაში დინამიზმი, ბრწყინვალეების კულტი, სიტუაციის გამოსწორების დიდი ტრადიცია, სოციალური და ეკონომიკური სიძნელეებიდან თავის დაღწევის უნარი, გაცილებით ძლიერია, ვიდრე ევროპაში. მიუხედავად ამისა, ამერიკის დაქვეითების რეალობა ნათელია.

ამერიკის ძალაუფლება და სიძლიერე აქამდე მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდელების მიმზიდველობაში იყო. თუკი ეს მოდელი აღარ არის ძველებურად მიმზიდველი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო მას ყველი გაუვიდა, მაშინ მსოფლიოს ლიბერალური დემოკრატიის პოზიცია ნათელი აღარ არის. ამერიკა თანდათანობით შედარებით დაღმასვლას განიცდის, ჩვენ ვიმყოფებით ხანგრძლივ პერიოდში პოსტდასავლური მსოფლიოსაკენ. ეს არის მსოფლიო, სადაც დასავლური დიდი სახელმწიფოები ერთპიროვნულად უკვე ვეღარ მართავენ მსოფლიოს, მსოფლიო პროცესებს ერთპიროვნულად ვეღარ აყალიბებენ.

ეს ამერიკული სამყაროს დასასრულს და მისი ჩინური საუკუნით ჩანაცვლებას არ ნიშნავს. ვფიქრობ, რომ გვექნება მსოფლიო, სადაც განსხვავებული ინტერესების მქონე მეგა სახელმწიფოები ერთმანეთთან კონკურენციულ დაპირისპირებაში იქნებიან. აზიაში ჩინეთი შეეცდება ჰეგემონის როლის მორგება, რაც ამერიკის პირდაპირი გამოწვევა იქნება. ამ შემთხვევაში განჩნდება შეკითხვა – დაუშვებს თუ არა ამერიკა ჩინეთის ჰეგემონის როლს აზიაში? და თუ შეიარაღებული კონფლიქტის აუცილებლობის ალბათობა არსებობს, ის სადღაც აზიაში იქნება. გადავხედოთ სამხრეთ ჩინეთის ზღვას, სადაც ჩინეთი აცხადებს ტერიტორიულ მოთხოვნებს ამ წყლებში, ჯერ კი მხოლოდ 2013 წელია. ჩვენ ჯერ არ გვინახავს ჩინეთის სრული ძალა.

დიდი სახელმწიფოები დიდნი მათი ექსპანსიური ბუნების გამო არიან, ისინი სხვა ხალხების ტერიტორიების ექსპანსიასა და დაპყრობას აწარმოებენ და ამ ტერიტორიების ინკორპორირებას ახდენენ საკუთარ იმპერიაში. ამიტომაც არის, რომ დიდი სახელმწიფოები, დიდი იმპერიები დიდი მრავალეთნიკურობით და

მრავალეროვნულობით გამოირჩევიან. ყველა მათგანს აქვს გავლენის სფეროები და აგრესიული ტერიტორიული პრეტენზიები. ეს კი, როგორც წესი, კონფლიქტის პროვოცირების წყარო შეიძლება იყოს. ამიტომ, ძალიან საშიშ და არასტაბილურ ხანაში შევდივართ. დიდი სახელმწიფოების აღზევება-დაღმასვლაში ასეთ მკვეთრ ცვლილებებს და ასპარეზზე ახალი სუპერ სახელმწიფოების გამოჩენას ჩვეულებრივ, ომი მოსდევს ხოლმე, ასეთია ისტორიული რეალობა. ამიტომ დასავლეთის საერთაშორისო პოლიტიკა სწორედ ამ გართულებების თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს მიმართული. ამერიკის საგარეო პოლიტიკა უნდა წარიმართოს იქით, რომ დიდი სახელმწიფოების ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის სტრუქტურებში შევიდნენ. ჩვენ უნდა გვსურდეს მათი ხილვა მოლაპარაკებების უმთავრეს მაგიდასთან, ე.წ. G20 დიდ ოცელულში, საერთაშორისო სავალუტო ფონდში და ა.შ. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ პრობლემა იქნება, თუ როგორ დაბალანსდეს საკუთარი ღირებულებები და უსაფრთხოების ინტერესები. საგარეო პოლიტიკა განუწყვეტელი ბალანსია რეალიზმსა და იდეალიზმს, ინტერესებსა და ღირებულებებს შორის, რომლებიც ძალიან იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

საერთაშორისო წესრიგის ყველაზე დიდმა ბურჯმა რყევა დაიწყო და დანარჩენი სამყარო საგონებელშია ამ დაქვეითების შესაძლო შედეგების გააზრებისას.

ძველი წესრიგი, ამერიკისა და ევროპის მიერ დომინირებული, იცვლება წესრიგით, სადაც ძალაუფლება მძლავრად არის გაზიარებული არადასავლური მზარდი სახელმწიფოების მიერ. სახეზეა მარტივი სურათი:

ძველი წესრიგი – G7; ახალი წესრიგი – G20.

თუმცა, ამერიკა კვლავ რჩება ამ წესრიგის მთავარ ბურჯად. მისი დაღმა სვლა, ჩემი აზრით, დროებითია და ის მდგომარეობის გამოსწორებას შეძლებს, მაგრამ მისი შედარებითი გავლენა მაინც შემცირდება, რადგან არადასავლური სახელმწიფოები იზრდება და ვითარდება. ერთი მეტად ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ნურიელ რუბინის ფრთიანი გამონათქვამი მინდა გავიხსენო: „ამერიკა დღეს არის ყველაზე მაღალი ლილიპუტი, სილამაზის კონკურსში ყველაზე ნაკლებად მახინჯი. ის არის ლიდერი არა იმიტომ, რომ ძალიან კარგია, არამედ იმიტომ, რომ სხვები ძალიან ცუდები არიან.“

■ მრავალი ევროპელის გონებაში ბარბაროსები არა მარტო მოადგნენ ევროპის კარს, არამედ უკვე ციხესიმაგრის კედლებზეც გადაცოცდნენ, კალიებივით შემოესივნენ და ევროპულ საზოგადოებას სამარადისოდ ცვლიან.

რატომ არიან მდიდარი ადამიანები მდიდრები

ჰონ როკფელერი

„ეცადეთ, ყოველი დღე
ახალ შესაძლებლობად
გადააქციოთ



13.95%

სამომხმარებლო სესხზე



ფოტო: სურენ ანდრონიანი

ესეჟაშვიდი ყვანას წინააღმდეგ

ირაკლი აბსანძე



ხუთშაბათის საპარლამენტო სხდომამ ნათლად აჩვენა, რომ ეჭვიანმა პოლიტიკოსმა ივანიშვილმა მიზანს მიაღწია – ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო ათი წლის განმავლობაში სააკაშვილისგან დამოუკიდებელი პირველი გადაწყვეტილება მიიღო.

თუ სოსისი და კანონები გიყვარს, არასოდეს დაესწრო მათი კეთების პროცესს.
ოტო ფონ ბისმარკი

„კაპრიზზე კაპრიზით ვერ ვუპასუხებთ, ახირებაზე ახირების გზით ვერ ვივლით,“ – მიმართა დავით უსუფაშვილმა პარლამენტს სარეიტინგო კენჭისყრის დაწყებამდე. ამ სიტყვების მთავარი ადრესატები, ალბათ, თბილისში უფრო ისხდნენ, ვიდრე პარლამენტის სხდომათა დარბაზში.

საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში არჩევნების შემდეგ მთავარ საკითხად იდგა, მიღებულია. მიხეილ სააკაშვილს აღარ აქვს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის დათხოვნის უფლება. ნაციონალური მოძრაობის წევრები ბოლო დღეების განმავლობაში გულდასმით გვარწმუნებდნენ, რომ ცვლილება მათთვის სრულიად უმნიშვნელოა. თავის მხრივ, პრეზიდენტმაც ბევრჯერ განაცხადა, რომ მთავრობის დათხოვნას არ აპირებს. თუმცა, როგორც ჩანს, დეკლარირებული პოზიციის არ სჯეროდათ მათ ოპონენტებს, პირველ რიგში კი პრემიერ-მინისტრს.

საკითხის საპარლამენტო განხილვა 21 მარტის 15.00 საათზე იყო ჩანიშნული. გადაწყვეტილება სარეიტინგო კენჭისყრის თაობაზე დავით უსუფაშვილმა დეპუტატებს გვიან საღამოს გააცნო. არავის დაუმაღავს, რომ ამ დროის განმავლობაში, ორივე მხარე თავიანთ ლიდერებთან აქტიურ კონსულტაციას მართავდა. პოლიტიკური ვაჭრობის საგანი ცვლილებების არსი არ ყოფილა – შინაარსზე უმცირესობა და უმრავლესობა, სულ მცირე, ორი დღით ადრე შეთანხმდნენ. ნაციონალურმა მოძრაობამ საკონსტიტუციო ინიციატივის მხარდაჭერის პირობად საკითხზე სარეიტინგო კენჭისყრა დააყენა. ამ ფორმით ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ „ქართულ ოცნებას“,

პრემიერ ივანიშვილისა და სხვა ლიდერების განცხადებების მიუხედავად, საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს.

სიტუაცია ფეისბუქის მომხმარებლებმა ხუთშაბათ საღამოსვე შეადარეს „თხა და გიგოს“. ორივე პოლიტიკური გუნდი საკუთარი ლიდერების მძევალი აღმოჩნდა. მიხეილ სააკაშვილს უნდა დავერწმუნებინეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ისევე ის მონოლითური გუნდია, რომელსაც თვითონ მართავს, ბიძინა ივანიშვილი კი შეფარულად, მაგრამ გულდასმით ამტკიცებდა საპირისპიროს.

საკონსტიტუციო ცვლილებებზე ფსონი ივანიშვილმა და სააკაშვილმა კარგა ხნით ადრე დადეს. „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის პარლამენტისა და ქართველი ხალხისათვის მიმართვის უფლება ამ საკითხზე გახადა დამოკიდებული. თავის მხრივ, ნაციონალური მოძრაობა, საკონსტიტუციო ინიციატივის მხარდაჭერის სანაცვლოდ, საქართველოს დასავლური კურსის კანონმდებლობით დადასტურებას ითხოვდა.

პარლამენტმა საგარეო კურსის განმსაზღვრელი რეზოლუცია, უმცირესობა-უმრავლესობის კონსენსუსით, უკვე მიიღო, პრეზიდენტს კი პარლამენტიდან ხალხისთვის ჯერ არ მიუმართავს. ივანიშვილის კოალიცია, ამ შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობაზე მოქნილი აღმოჩნდა. რეზოლუციაზე შეთანხმებით მათ ბურთი ოპონენტის მოედანზე დატოვეს. ყოფილ მმართველ გუნდს, რომელსაც ბოლო სოციოლოგიური კვლევებით საპარლამენტო თანაფარდობასთან შედარებით ბევრად დაბალი რეიტინგი, შესაბამისად ნდობის მოკრძალებული მანდატი აქვს, პოლიტიკური მანევრებისთვის მცირე სივრცე რჩება. ისინი თავს დესტრუქციული ოპონირების უფლებას ვეღარ მისცემენ. ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა დაამტკიცოს, რომ პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დგას და სახელმწიფო-

ბრივად ირჯება. მიხეილ სააკაშვილთან ერთად ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ ის ქვეყანაში „ერთი კაცი“ პრობლემას ხედავს და ეს ერთი კაცი მიხეილ სააკაშვილია. ამით მან ნაციონალური მოძრაობის მანამდე უალტერნატივო ლიდერი მისივე პოლიტიკური გუნდისგან თავიდანვე გამიჯნა.

ხუთშაბათის საპარლამენტო სხდომამ ნათლად აჩვენა, რომ ეჭვიანმა პოლიტიკოსმა ივანიშვილმა მიზანს მიაღწია – ნაციონალურმა მოძრაობამ ბოლო ათი წლის განმავლობაში სააკაშვილისგან დამოუკიდებელი პირველი გადაწყვეტილება მიიღო. რაც არ უნდა ამტკიცონ ყოფილი მმართველი გუნდის ლიდერებმა, „ქართული ოცნების“ სარეიტინგო კენჭისყრაზე თანხმობა დამარცხებული მეტოქისადმი თავაზიანი ჟესტი უფრო იყო, ვიდრე კომპრომისი.

დრო გვაჩვენებს იყო თუ არა გასული საპარლამენტო კვირა სააკაშვილის ეპოქის დასასრული, მაგრამ დღეს სრულიად ცხადია, რომ დავით უსუფაშვილის სახით საქართველოში სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკოსი დაიბადა.

„მე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მიწვევს გადაწყვეტილების მიღება სარეიტინგო კენჭისყრასთან დაკავშირებით. მარტივი არითმეტიკაა, რომ ნაციონალური მოძრაობის გარეშე პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ გროვდება“, – მიმართა უსუფაშვილმა საკუთარი გუნდის წევრებსა და კუთხეში მიყენებულ ოპონენტებს.

პრეცედენტი შეიქმნა – დავით უსუფაშვილმა მოახერხა პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მალა დადგომა. ცხადია, რომ მის ამ გადაწყვეტილებას არ მიემხრობოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის ნაციონალური მოძრაობის მიმართ ყველაზე ანტაგონისტურად განწყობილი წევრები. სარეიტინგო კენჭისყრის საწინააღმდეგო განცხადება ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა მარნეულში. მან თქვა, რომ ესაუბრა პარლამენტის თავმჯდომარეს და „ურჩია“, რომ კენჭისყრა ამ ფორმით არ შემდგარიყო. ეს არის პრემიერ ივანიშვილის საკუთარი გუნდის წევრისთვის საჯაროდ გამოთქმული პირველი შეუსრულებელი რჩევა.

ხუთშაბათამდე ნაციონალური მოძრაობის საკონსტიტუციო მარცხი პრემიერ ივანიშვი-

ლის პირადი ღირსების საკითხად აღიქმებოდა. მისი ბოლოდროინდელი რიტორიკიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას სარეიტინგო კენჭისყრით ნაციონალური მოძრაობის სახის შენარჩუნებაზე ეზრუნა.

ყველა მხარისგან დეკლარირებულად უმნიშვნელო ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ფრიად მნიშვნელოვანი რომ იყო, აშშ-ის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ირიბად დაადასტურა. ის ქუთაისში საგანგებოდ ჩავიდა, კენჭისყრას დაესწრო და მოგვიანებით საელჩოს ვებგვერდზე განცხადებაც გამოაქვეყნა:

„შეერთებული შტატები ულოცავს საქართველოს ლიდერებს, აგრეთვე საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას იმ ფორმულაზე შეთანხმებას, რომელმაც პარლამენტს საშუალება მისცა, პირველი მოსმენით მიედო კანონპროექტი საკონსტიტუციო რეფორმის შესახებ,“ – ეწერა განცხადებაში.

რეიტინგული კენჭისყრის შემდეგ პირველი საჯარო განცხადება პრემიერმა ივანიშვილმა პარასკევს, მთავრობის სხდომის დაწყებამდე გააკეთა: „ტელეფონზე უსუფაშვილს ვესაუბრებოდი შესვენებისას: ვურჩიე, მხარი დაეჭირა ახირებისთვის, თუმცა უსუფაშვილს ამის სურვილი არ ჰქონდა, რამეთუ კარგად იგრძნობოდა, ისედაც მივიღებდით იმ ხმების რაოდენობას, რაც საჭირო იყო საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, მაგრამ მე რატომღაც ასე ვამჯობინე. ეს პრინციპულად ჩვენთვის არაფერს ცვლიდა, ცვლიდა მხოლოდ მათთვის, როგორც მათ წარმოუდგენიათ. ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მიეღწიათ ამ უცნაურობისთვის. აუხსნელია დღესაც, რად უნდოდათ ამ ღია კარის მტვრევა,“ – უთხრა მან მინისტრებს.

ქართული საჯარო პოლიტიკის გაჯანსაღება დიდწილად იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ბიძინა ივანიშვილი ბიზნესიდან გამოყოფილი „გადარჩენის ინსტინქტის“ დაძლევის და გუნდურ თამაშს. ის, რამაც ბიზნესმენ ივანიშვილს წარმატება მოუტანა, შესაძლოა, მისი პოლიტიკური მარცხის მიზეზი გახდეს. ირაკლი ალასანიას მაგალითი ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას ნაკლებად გვაძლევს, მაგრამ პოლიტიკოსმა ივანიშვილმა გასული წლის შემოდგომაზე ეპისტოლარული მოვლინებიდან დღემდე ბევრი რამ ისწავლა. 21 მარტიდან ის სხვა მიზანზე უნდა გადაეწყო – თავდაპირველი მისია – მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება, უკვე შესრულებულია. **□**

■ მიხეილ სააკაშვილს უნდა დავერწმუნებინეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა ისევ ის მონოლითური გუნდია, რომელსაც თვითონ მართავს, ბიძინა ივანიშვილი კი შეფარულად, მაგრამ გულდასმით ამტკიცებდა საპირისპიროს.

სადახი: "ის ძალდაბი ყაფან, ვისას მოხვდა"

„ლიბერალს“ ევროპის სახალხო პარტიის სახელით ბიძინა ივანიშვილისთვის გაგზავნილი წერილის ერთ-ერთი ხელმომწერი ესაუბრება.



გერმანელი ქრისტიან-დემოკრატი იოაჰიმ ცელერი 2009 წლიდან ევროპარლამენტის სახალხო პარტიის ფრაქციის წევრია. იგი ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრიცაა. 2009 წლამდე ის ბერლინის თვითმმართველობაში მოღვაწეობდა. 60 წლის პოლიტიკოსმა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში 1977 წელს ლინგვისტიკის დიპლომი სლავისტიკის განხრით მიიღო.

თქვენ პრემიერ ივანიშვილისთვის გაგზავნილი წერილის ერთ-ერთი ხელმოწერილი ხართ. რამდენად პრობლემატურად გეჩვენებათ ვითარება საქართველოში?

წერილი ასე მკაცრად ფორმულირებული არ ყოფილა. გაკვირვებული დავრჩი, რომ ასეთი მწვავე გამოხმაურება მოჰყვა თავად პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან. ერთი გერმანული ანდაზა მახსენდება – „ის ძაღლები ყეფენ, ვისაც მოხვდა“.

საქართველოში ცოტა ხნით ვიყავი. რაც მე იქ ვნახე და რასაც მე მიაბობოვნ-ხოლმე, მაფიქრებინებს, რომ მართალია საქართველომ ევროპისკენ სვლა დაიწყო, მაგრამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წინააღმდეგობები გაჩნდა და შეკითხვაც უნდა დაისვას, აზრი აქვს თუ არა ასოცირების შეთანხმებას. მე ამასთან დაკავშირებით ჩემი ეჭვები უკვე მათს.

კონკრეტულად რას გულისხმობთ?

გულისხმობ იმას, რომ ისინი, ვინც ახლა ძალაუფლებას ფლობენ და საკუთარ თავს „ქართულ ოცნებას“ უწოდებენ, განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრი, როგორც ჩანს, დემოკრატიული თანაცხოვრების გზას ტოვებს. აქვე იმასაც ვგულისხმობ, რომ ქალაქების არჩეულ მერებს თანამდებობიდან დევნიან. სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობას პრემიერის მეუღლის ტელევიზიას უერთებენ. ოპოზიციურ პოლიტიკოსებს სხვადასხვა ფორმით აიძულებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს დაუჭიროონ მხარი და საპრეზიდენტო არჩევნებს ხელი შეუშალონ.

ევროკავშირის გაფართოების საკითხებში კომისარმა ფულემ ჩვენთან ინტერვიუში თქვა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ასოცირების ხელშეკრულებაზე თანამშრომლობს და ზოგიერთ საკითხში უფრო სწრაფი პროგრესიც კია, ვიდრე ეს აქამდე იყო.

ბატონ ფულეს ბევრი საკითხის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ახალგამოქვეყნებული ანგარიში გასული წლების შთაბეჭდილებებს მოიცავს. ის ოქტომბრის არჩევნებამდე ვითარებას ასახავს.

სააკაშვილის მთავრობასაც აკრიტიკებენ, რომ, მაგალითად, სასამართლო სისტემა პოლიტიზირებული გახდა. არჩევნებამდე გამოქვეყნდა ციხეში ნამების ვიდეოებიც.

ვიდეო-კადრებმა არჩევნებზე მნიშვნელოვნად იმოქმედა. საზოგადო უკმაყოფილება არსებობდა. ივანიშვილმა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებები გავლენის მოსახდენად გამოიყენა. სააკაშვილმაც შეცდომები დაუშვა. ხელისუფლების გადახანჩლების მხრივ უფრო დროული ქმედებაც იყო შესაძლებელი. თუმცა წარსულიც უნდა გვახსოვდეს. საქართველოს სახელმწიფოებრიობის სულ 20 წლის გამოცდილება აქვს. აქვე უნდა გავიხსენოთ რუსეთთან 2008 წლის ომი. თუმცა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარადიგმის ცვლაზე საუბარიც შესაძლებელია. ასეთი შთაბეჭდილება დატოვა თბილისში აღმოსავლეთ თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის წევრებთან შეხვედრამ. მათი ტონი სტალინისტური ფუნქციონირების ტონს ემთხვევა. მათი სიტყვებით, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

კონკრეტულად ვის ესაუბრეთ?

ვესაუბრე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – გიორგი ბარამიძეს, ასევე პარლამენტის თავმჯდომარე – დავით უსუფაშვილს, ევროინტეგრაციის მინისტრს ალექსი პეტრიაშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს – დავით ზალკაიანს. ისინი ამბობდნენ, რომ ევროპისკენ გზას ეძებენ. თუმცა, რასაც ქმედებაში ვხედავთ, ამის საწინააღმდეგოა.

როცა წარმოვიდგენ რამდენი ფული მიედინება საქართველოში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში, ვხვდები, რომ მათ ამის დაკარგვა არ უნდათ. ახლავე უნდა გადავწყვიტოთ, ამ პარტნიორობის ფარგლებში რამდენ ფულს დავხარჯავთ. ევროპარლამენტში ამ მხრივ ერთი აზრი არ არსებობს. განსაკუთრებით სამხრეთევროპული კოლეგები მიიჩნევენ, რომ აღმოსავლური პარტნიორობა არ მუშაობს და უპრიანი იქნება, თუ ჩვენს ფულს ჩრდილო-აფრიკის სტაბილიზაციისთვის დავხარჯავთ. ჩვენ, ვისაც ორიენტირი აღმოსავლეთ ევროპისკენ გვაქვს აღებული, ეს არ გვინდა. მაგრამ აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნები ნამდვილად გვიქმნიან სირთულეებს. 

ხოზოხ დახოფცნაქსდეზა იუსტიციის საბჭო?

პარლამენტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს განიხილავს, ცვლილებების ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილი უმაღლესი იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესს ეხება.

ზურაბ ვარდიაშვილი



■ კანონპროექტის ძალაში შესვლისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება, რაც უმცირესობის წარმომადგენელთა აზრით, არასწორია. ისინი მიიჩნევენ, რომ ცვლილებები ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და მმართველი გუნდის შეცვლა ავტომატურ რეჟიმში სასამართლო ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა ნიშნავდეს.

ინიციატივა

ახალი საკანონმდებლო ინიციატივა იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა, მისი დამტკიცების შემთხვევაში საბჭოში პარლამენტის დეპუტატები აღარ შევლენ, თუმცა, მას ისევ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უხელმძღვანელებს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის სანდრო ბარამიძის თქმით, პირადად თვითონ ამის წინააღმდეგია, მაგრამ რადგან წესი კონსტიტუციითაა განსაზღვრული, უცვლელი დარჩება.

ახალი კანონპროექტის მიხედვით პრეზიდენტი საკუთარ წარმომადგენლებს ვეღარ დანიშნავს, პარლამენტი კი წევრებს არა საკუთარი რიგებიდან, არამედ ძირითადად არასამთავრობო და სამეცნიერო წრეებიდან აირჩევს.

იცვლება იუსტიციის საბჭოს რვა მოსამართლე წევრის არჩევის წესიც. დღემდე მოქმედი კანონმდებლობით, მოსამართლეთა კონფერენციაზე რვა მოსამართლის კანდიდატურის დასახელების უფლება მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

ჰქონდა. ამ კანდიდატებს შემდეგ კენჭს მოსამართლეთა კონფერენცია უყრიდა.

ახალი კანონპროექტის თანახმად, კანდიდატურის დასახელება მხოლოდ უზენაესი სასამართლო თავმჯდომარის პერეოგატივა აღარ იქნება და ამის გაკეთება მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ წევრს შეეძლება.

ამავე დროს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.

კანონპროექტის ძალაში შესვლისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება, რაც უმცირესობის წარმომადგენელთა აზრით, არასწორია. ისინი მიიჩნევენ, რომ ცვლილებები ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და მმართველი გუნდის შეცვლა ავტომატურ რეჟიმში სასამართლო ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა ნიშნავდეს.

სხვაგვარად ფიქრობს სანდრო ბარამიძე:

ის ახალი კანონის ამოქმედებისთანავე ძველი წევრების შეცვლას ლოგიკურ გადაწყვეტილებას უწოდებს. მისი თქმით, ახალი კანონპროექტი ძველისგან სრულიად განსხვავებულ პირობებს ადგენს: „მანამდე საბჭოს წევრების არჩევის წესი არადემოკრატიული იყო. უზენაესის თავმჯდომარე, რომელიც ამავე დროს საბჭოს თავმჯდომარეცაა, მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეც, ასევე ხელმძღვანელობს მოსამართლეთა კონფერენციას და იუსტიციის უმაღლეს სკოლას, ასეთ ადამიანს კანდიდატების დასახელების ექსკლუზიური უფლება ჰქონდა. ამას დაამატეთ ისიც, რომ მოსამართლეები ღია კენჭისყრით ირჩევდნენ ამ კანდიდატებს. ასეთი წესი ერთ ადამიანს აძლევდა უფლებას, აერჩია ახალი მოსამართლეები საკუთარი შეხედულებისამებრ, ემართა მთელი სასამართლო სისტემა. ჩვენ ამის შესაცვლელად ვიღვანეთ და რატომ იქნება ნორმალური, რომ ძველი წევრები დარჩნენ?“

ბარამიძის თქმით, მართალია, საბჭოს ძველ წევრებს უფლებამოსილება კანონის ძალაში შესვლისთანავე შეუწყდებოდა, მაგრამ წევრების თავიდან ასაცილებლად ისინი მოვალეობის შესრულებას მანამდე გააგრძელებენ, ვიდრე საბჭოს ახალ წევრებს არ აირჩევენ.

კანონმდებლობა

მოქმედი კანონმდებლობით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო 15 წევრისგან შედგება. ამ შემადგენლობის ნახევარზე მეტს – რვა წევრს – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეები ირჩევენ, სამ მათგანს – პარლამენტი. საბჭოს შემადგენლობაში ავტომატურად შედის იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე. საბჭოში პრეზიდენტის მიერ დანიშნული 2 წევრი წარმოადგენს. სასამართლოს უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოს სათავეში უზენაესი სასამართლო თავმჯდომარე უდგას.

წევრების უფლებამოსილების ვადა ოთხი წელია. გარდა საბჭოს მდივნისა, რომელსაც სამი წლით ირჩევენ. მდივანს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეობაც შეუძლია.

იუსტიციის საბჭო 1997 წლის 13 ივნისის შეიქმნა, მაშინ, როდესაც პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონი

ვენიციის კომისია

ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად, ცნობილი როგორც ვენეციის კომისია, 1990 წელს დაარსდა. ის კონსტიტუციურ საკითხებში ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანოა. კომისიის გადასინჯული წესდება 2002 წლის 21 თებერვალს მიიღეს. წესდების თანახმად, კომისია შემდეგ მიზნებს ემსახურება: მონაწილე ქვეყნების სამართლებრივი სისტემის აღქმის გაძლიერება ამ სისტემათა დაახლოების მიზნით; დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობით წარმოშობილი პრობლემების განხილვა, მათი გამყარება და განვითარება. ადამიანის უფლებათა და სამართლის (კანონის) უზენაესობის პრინციპების დაცვა კომისიის მიერ ოთხი მიმართულებით ხორციელდება: კონსტიტუციური სამართლის სფეროს ხელშეწყობა; არჩევნები და რეფერენდუმები, საკონსტიტუციო სასამართლოებთან თანამშრომლობა; კვლევებისა და სემინარების ჩატარება.



მოსამართლეთა კონფერენცია:

- ა) ირჩევს ადმინისტრაციული კომიტეტის შემადგენლობას;
 - ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანსა და საბჭოს სხვა წევრებს;
 - გ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს;
 - დ) ამტკიცებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიასა და რეგლამენტს;
 - ე) ისმენს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ხელმძღვანელისა და საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს ამ ორგანოთა მუშაობის შესახებ;
 - ვ) ახორციელებს კანონით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ქარტიითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
 - ზ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს.
- საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა ადმინისტრაციული კომიტეტის ინიციატივით ან საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ერთი მესუთედის წერილობითი მოთხოვნით. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რიგგარეშე სხდომა ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამონაშროვისთანავე.
- საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სხდომა ღიაა. მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დასწრეთა ხმების უმრავლესობით.

დაამტკიცა. იუსტიციის საბჭო სწორედ ამ კანონის მნიშვნელოვანი სიახლე იყო, მის ფუნქციებში მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშვნა, გათავისუფლება, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, რეფორმებისთვის წინადადებების შემუშავება და სხვა მოვალეობები შედიოდა.

იუსტიციის საბჭომ მრავალი საკანონმდებლო ცვლილება გაიარა. თავდაპირველად ის 12 წევრიდან შედგებოდა, 2004 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად ეს რაოდენობა ცხრამდე შემცირდა, ერთი წლის შემდეგ თვრამეტამდე გაიზარდა, 2006 წელს კიდევ ერთი წევრი დაემატა, თუმცა წლის ბოლოს 15-მდე შემცირდა.

თავდაპირველად „ქართული ოცნება“ სამინისტროს ინიციატივის კანონად ქცევას ჩქარობდა, და 20 დეკემბერს პარლამენტმა ის პირველი მოსმენითაც კი მიიღო, თუმცა შემდგომი პროცედურები შეჩერდა. ხელისუფლება დათანხმდა, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს დალოდებოდა. კომისიამ დასკვნა 11 მარტს გამოაქვეყნა.

დასკვნა ვენეციაში

ვენეციის კომისია, კონსტიტუციურ საკითხებში ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოა. ის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შედგება.

ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში ის ოთხი ძირითადი მიმართულება გამოყო, რომლებსაც გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, ესენია: – პრეზიდენტის წარმომადგენლობის გაუქმება, მოსამართლეთა კონფერენციის არჩევანი თავად მოსამართლეების შეთავაზებით, პარლამენტის მიერ საბჭოში არაპოლიტიკოსების წარდგენა და საბჭოს წევრების არჩევის ფარული კენჭისყრის გზა.

„თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობა არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციაა, რომ წევრებმა დაასრულონ თავიანთი უფლებამოსილების ვადა,“ – ასკვნის კომისია.

კომისია იმ პრეცედენტის საფრთხეს ითვალისწინებს, რომელზე დაყრდნობითაც ნებისმიერ ახალ ხელისუფლებას ცდუნება ექნება საბჭოს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყვიტოს.

შეფასებები

კომისიის ამ დასკვნას ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტულუშიც გამოეხმაურა, ის ამჟამად ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას“ ხელმძღვანელობს.

„ითვალისწინებს რა ვენეციის კომისიის წვლილს, რომელიც ამ ავტორიტეტულ ორგანოს უკვე არაერთი წელია შეაქვს საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში, "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებლად უნდა მიიღოს მხედველობაში ის მნიშვნელოვანი შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ასახულია ზემოაღნიშნულ დასკვნაში, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს სასამართლო სისტემის დაგეგმილი რეფორმის შესაბამისობას დემოკრატიულ სტანდარტებთან და გააძლიეროს აღნიშნული ინიციატივის ლეგიტიმაცია,“ – ვკითხულობთ სპეციალურ განცხადებაში.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციას არათანამიმდევრულს უწოდებს:

„კომისიას, პრეზიდენტისა და პარლამენტის წარსადგენ წევრებს ვადაზე ადრე რომ უწყდება უფლებამოსილება ამის საწინააღმდეგო ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. სამაგიეროდ მოსამართლე წევრებზე ამბობს, რომ ეს კარგი არ არის. კომისიის აზრით, გარკვეული მემკვიდრეობა უნდა შენარჩუნდეს, რათა საბჭოს წევრებისთვის უფლება მოსილების შეწყვეტა საშიშ პრეცედენტად არ იქცეს. თუმცა იქვე ამბობს რომ აქამდე არსებული წესი დემოკრატიული არ იყო, და ახალი წესი ძალიან კარგია.

თუ მაინცდამაინც პრეცედენტზეა საუბარი, რატომ ეხება მხოლოდ იმ რვას და არა სხვა წევრებს? სად არის ლოგიკა?“ – ამბობს ხმალაძე.

მისი აზრით, საკანონმდებლო ცვლილებები იმ პროცესს უწყობს ხელს, „რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი, სამართლიანი სასამართლოს მიღება გვსურს. ეს თითოეული მოქალაქისთვის იმის გარანტიაა, რომ მათ საქმეებს სამართლიანად განიხილავენ“. **■**

■ „ასეთი წესი ერთ ადამიანს აძლევდა უფლებას, აერჩია ახალი მოსამართლეები საკუთარი შეხედულებისამებრ, ემართა მთელი სასამართლო სისტემა. ჩვენ ამის შესაცვლელად ვიღვანეთ და რატომ იქნება ნორმალური, რომ ძველი წევრები დარჩნენ?!“

რატომ არიან მდიდარი ადამიანები მდიდრები

internet
banking



mobile
banking

მდიდარი ადამიანების წარმატება
სმირად ერთ სატელეფონო
ზარზეა დამოკიდებული

შეავსეთ მობილურის ბალანსი
მობაილ ან ინტერნეტ ბანკით
მარტივად და სწრაფად.



ჰუალინგის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის პროექტის კონტროლის დეტალური სქემა

ქართული შელავათები ჩინუხ "ჰეპინას"

2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფლისა და კომპლექსის მშენებლობის შესახებ სტატია ჟურნალ „ლიბერალის“ 2013 წლის 4-10 მარტის ნომერში გამოქვეყნდა. სტატიის დაბეჭდვის შემდეგ მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა რომ კომპანია, რომელიც ოლიმპიურ სოფლის კომპლექსსა და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას აშენებს, სახელმწიფოს მხრიდან არაერთი შეღავათით სარგებლობს.

გიორგი ჭეიშვილი

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ოლიმპიური სოფლის გარდა, ჩინური კორპორაცია „ხუალინგი“ საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის მშენებლობასაც გეგმავს. საქართველოს ყოფილ მთავრობასთან პროექტზე ხელშეკრულება 2012 წლის 30 მარტს გაფორმდა.

კომპანია „Hualing International Special Economic Zone“-ის მიერ მომზადებულ ვიდეორგოლში, თბილისის ზღვაზე, 420 ჰექტარზე დაგეგმილი პროექტის კონცეპტუალური სქემა ასახული, აქვე აღნიშნულია, რომ – „ხუალინგის“ საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომელიც რეგიონული, ეკონომიკური განვითარებისა და მომავალი ურბანული ზრდისკენ არის მიმართული, ახალ საერთაშორისო რეგიონულ კომერციულ სავაჭრო ცენტრად უნდა გადაიქცეს“.

კომპლექსის მშენებლობის საკითხსა და 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლების თემას მედიასა თუ ინტერნეტში არაერთი გამოხმაურება მოჰყვა, ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩინურ კორპორაციასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებამ კითხვები ახალი სამთავრობო გუნდის წევრებსაც გაუჩინა.

თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობის შესახებ საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხზე სამინისტროს სამუშაოები არ ჰქონდა დასრულებული, თუმცა კორპორაცია „ხუალინგთან“ გაფორმებულ კონტრაქტში ისეთი მუხლები იყო, რომლებიც კითხვებს აჩენდა – „კონტრაქტის ზოგიერთი მუხლი პირადად მე არ მონმონს, თუმცა ვერ ვიტყვი რომ ეს არის საფუძველი რიგი ქმედებებისა. კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები განხილვის სტადიაშია და დღეს მე რომ ვაფორმებდ ამ ხელშეკრულებას, გაცილებით სხვაგვარი პირობებით მოვანერდი კონტრაქტს ხელს“.

კომპლექსის მშენებლობის თემას საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნიაც გამოეხმაურა. ზაზა გაბუნია თბილისის საკრებულოს 2012 წლის ივნისის გადაწყვეტილებაზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ ამ გადაწყვეტილებით ჩინური კომპანია გადასახადებისგან 5 წლის განმავლობაში თავისუფლდებოდა, საქმიანობის მეექვსე წლიდან კი მხოლოდ მიზერული

თანხის გადახდა უწევდა.

პროექტთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებს კორპორაცია „ხუალინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა უპასუხა. თინათინ შიშინაშვილი ამბობდა, რომ სამშენებლო ნებართვის აღებასთან დაკავშირებით კორპორაციას არანაირი შეღავათები არ ჰქონდა და არც გადასახადებისგან იყო გათავისუფლებული – „ჩვეულებრივად ვიბეგრებით და ყველა გადასახადს ვიხდით. ერთადერთი შეღავათი მხოლოდ ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის შემოტანილ მასალაზე ვრცელდება“, – აღნიშნავდა კორპორაცია „ხუალინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

ჟურნალ „ლიბერალის“ 126-ე ნომერში სტატიის (ჩინური „პეპელა“ თბილისის ზღვაზე) გამოქვეყნების შემდეგ მოპოვებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ კომპანია, რომელიც თბილისის ზღვაზე ოლიმპიურ სოფელსა და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას აშენებს, არაერთი შეღავათით სარგებლობს.

2012 წლის 15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონის – „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ მე-3 მუხლში წერია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ინვესტორს უფლება აქვს შექმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, საბაჟო სანყოფი, სპეციალური სავაჭრო ზონა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ობიექტები; ასევე, ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადებით დაბეგრის შეღავათიანი რეჟიმით.

ამავე კანონის მე-5 მუხლში, რომელიც ინვესტორისა და კონტრაქტორის გადასახადებით დაბეგრას ეხება, აღნიშნულია, რომ ინვესტორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში თავისუფლდება: დამატებული ღირებულების გადასახადისა და იმპორტის გადასახადისგან – ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო და დეკორაციული მასალების, მანქანა-დანადგარების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების (გარდა მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა) და სხვა მექანიკური მოწყობილობების იმპორტისას; ასევე ოლიმპიური ფესტივალის დაწყებამდე

ოლიმპიური სოფლისა და ოლიმპიადის (მათ შორის, ოლიმპიადის ახალგაზრდული ფესტივალის) ორგანიზებისთვის აუცილებელი სხვა დამხმარე ნაგებობებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინვენტარის, ავეჯისა და სხვა მოწყობილობების (საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სიის მიხედვით) იმპორტისას.

მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში ინვესტორი თავისუფლდება მოგების გადასახადის და დივიდენდის გადახდის წყაროსთან დაბეგვისგან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ნაწილში.

ამავე მუხლის 3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში საქართველოში შესყიდულ საქონელზე/მომსახურება გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ინვესტორს უბრუნდება.

საქართველოს კანონი „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“, ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში ინვესტორს ქონებისა და მიწაზე ქონების გადასახადებისგან ათავისუფლებს. ასევე, კონტრაქტორი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შედეგად ინვესტორისგან მიღებული/მისაღები ანაზღაურების ნაწილში თავისუფლდება მოგების გადასახადისგან მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში.

მეორე გადაწყვეტილება, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი გადასახადის – ქონების და მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთის დადგენას ეხება, თბილისის საკრებულომ 2012 წლის 29 ივნისს მიიღო.

დოკუმენტის მიხედვით, ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-6 წელს ინვესტორი ქონების გადასახადის 0,2%-ს იხდის, მე-7 წელს – 0,3%-ს, მე-8, მე-9 და მე-10 წელს კი 0,4%-ს. ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ ინვესტორი ქონების გადასახადის 1%-ს იხდის.

გადაწყვეტილებაში, რომელსაც საკრებუ-



ლოს თავმჯდომარე – ზაალ სამადაშვილი ანერს ხელს, აღნიშნულია, რომ ოლიმპიური სოფლის მშენებლობის და ოლიმპიადის ორგანიზების მიზნით, საქართველოს მთავრობას, ქ.თბილისის მერიასა და სს „Hua-

■ „ჩვეულებრივად ვიბეგრებით და ყველა გადასახადს ვიხდით. ერთადერთი შელავათი მხოლოდ ოლიმპიური სოფლის მშენებლობისთვის შემოტანილ მასალაზე ვრცელდება“, – აღნიშნავდა კორპორაცია „ხულინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.



ფოტო: ლევან სარჯიელაძე

ling International Special Economic Zone“, სს „RYILONG INDUSTRIAL INVESTMENT“ და სს „fand invesTmentS“ შორის 2012 წლის 30 მარტს გაფორმებული მიწის ნასყიდობის და ინვესტირების შესახებ ხელშეკრულებით

განსაზღვრულ ქ.თბილისის საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან მე-6 წელს, ინვესტორი მიწაზე ქონების გადასახადის იმ დროისთვის არსებული შესაბამისი გადასა-

ხადის 20%-ს იხდის, მე-7 წელს 30%-ს, მე-8, მე-9, მე-10 წელს კი 40%-ს. ოლიმპიური სოფლის მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის შემდეგ, ინვესტორი იხდის იმ დროისთვის არსებულ მიწაზე ქონების გადასახადზე შედარებით დაბალ ტარიფს.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტის, ბექა დოჭვირის თქმით, საქართველოს კანონი „ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“, ინვესტორს მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში დამატებითი ღირებულების და იმპორტის გადასახადისგან, ასევე დივიდენდის გადახდის წყაროსთან დაბეგვრისაგან და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ნაწილში მოგების გადასახადისგან ათავისუფლებს.


„აღნიშნულ შემთხვევაში, სახელმწიფო ინვესტორს სერიოზულ შეღავათს უწევს. დღე 18%-ს შეადგენს, ამის ჩათვლას კომპანიას ფინანსთა მინისტრი უკეთებს, ანუ თანხას სახელმწიფო უკან აბრუნებს. მოგების გადასახადი 15%-ია, რაც დივიდენდითურთ, ჯამში 20% გამოდის. საკრებულოს გადაწყვეტილების ბოლო პუნქტი ბუნდოვანია – გაურკვეველია, რას ნიშნავს შედარებით დაბალი ტარიფი. ვფიქრობ, ეს საკითხი უკვე განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ზოგადად რომ ვთქვათ, თუ სახელმწიფოს მასშტაბური პროექტის განხორციელება უნდა, ვერ ვხვდები, რატომ უნდა იყოს ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული, როცა შეიძლება რომ ქვეყანაში სხვა ინვესტორებიც შემოვიდნენ, ან ვილაც სხვამ უკეთესი პირობები შემოგთავაზოს. საქმის მასალებზე წვდომა არ მაქვს, თუმცა ცალსახაა, რომ სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს, ვალდებულია ეს გადაწყვეტილება დაასაბუთოს“, – ამბობს ბექა დოჭვირი.

ადგილობრივი კომპანიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ როდესაც სახელმწიფო უცხოურ ინვესტორს ასეთ შეღავათთან პირობებს უქმნის, ამით ადგილობრივი კომპანიები ზარალდება.

„ოლიმპიური სოფელი იმდენად პატარაა, რომ იმ პატარა მონაკვეთისთვის სახელმწიფო ამხელა დათმობაზე არ უნდა მიდიოდეს. ყველა ის პლუსი, რაც ზოგადად ინვესტიციას მოჰყვება ხოლმე, ამ კონრეტულ შემთხვევაში უგულვებელყოფილია. ერთი

მხრივ, ინვესტიცია შემოვიდა, მაგრამ რეალურად ეს თანხა ინვესტორს უკან დაუბრუნდა. ასეთი შეღავათების დაწესებისას სახელმწიფოს პოზიცია არ იყო სწორი, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.“

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განმარტებისას, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი სოსო არჩვაძე აღნიშნავს, რომ ქუთაისსა თუ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის პირობებში, ობიექტთან ურთიერთობა ისე ყალიბდება, როგორც უცხოელ სავაჭრო პარტნიორთან; ზონა საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ სივრცეში მდებარეობს, თუმცა სამართლებრივად, საქონლის იქ შეტანა – ექსპორტად, გამოტანა კი იმპორტად ითვლება.

„შეღავათები, რასაც ამ კომპანიას აძლევენ, ინვესტორის დაინტერესებისთვის კეთდება, მაგრამ ხშირად იკვეთებოდა წინა ხელისუფლების ხელწერა – მთავარი იყო გამოჩენილიყო, რომ რაღაც ეფექტურ ნაბიჯს დგამდნენ, მაგრამ საით იყო ეს ნაბიჯი გადადგმული, ეს არ იყო მნიშვნელოვანი. თუ ქვეყნის ეკონომიკაში ისეთი ხვრელი გაჩნდა, საიდანაც ეკონომიკურად განსხვავებული წნევის მოძრაობა მოხდება, ამან შეიძლება სავალალო შედეგი გამოიღოს. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ის თავისუფალია და მის შიდა ბუღალტერიაში არ ვერევი, მაგრამ გამომავალი პარამეტრები, ის, რაც ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკურ ცხოვრებასა და სოციალურ სტაბილურობაზე ახდენს გავლენას, აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ჩვენ არ გვინდა მხოლოდ ცარიელი შენობა-ნაგებობები და მოედნები, ჩვენ გვინდა რომ გარკვეული დასაქმება ადგილობრივმა სამუშაო ძალამაც ჰპოვოს და არ მოხდეს ისე, როგორც რიკოთის უღელტეხილზე გვირაბის რემონტისას, სადაც მხოლოდ ჩინელები იყვნენ დასაქმებულნი. რაც შეეხება საკრებულოს გადაწყვეტილების ბოლო პუნქტს, ფრაზა – შედარებით დაბალი გადასახადი ბუნდოვანია და მანევრის საშუალებას ტოვებს. თუ კანონში მკაფიოდ არ არის განვრილი რაღაც მოთხოვნა, ეს კორუფციისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის“, – ამბობს სოსო არჩვაძე. 

■ „ოლიმპიური სოფელი იმდენად პატარაა, რომ იმ პატარა მონაკვეთისთვის სახელმწიფო ამხელა დათმობაზე არ უნდა მიდიოდეს. ყველა ის პლუსი, რაც ზოგადად ინვესტიციას მოჰყვება ხოლმე, ამ კონრეტულ შემთხვევაში უგულვებელყოფილია.“

ითბა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იკითხე ყველგან!

იკითხე კომფორტულად!

www.lit.ge

ითბა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იკითხოთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოსაწერად, თქვენი მონეტარილოგიდან iTunes-ზე მოძიებეთ „IOTA READER“



სახსთან თამაში

კომერციულ ბანკებთან, კერძო იპოთეკარებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ქონების უზრუნველყოფით დადებული სასესხო ხელშეკრულების დარღვევის გამო 2012 წელს საცხოვრებელი ბინა 718-მა ოჯახმა დაკარგა. გადაუხდელი ვალის გამო საკუთარი სახლიდან გამოსახლება ამჟამად 500 ოჯახს ემუქრება.

მანანა ვარდიანიშვილი

სადარბაზოში, ოდესღაც თეთრად შეღებილ ხის კართან რამდენიმე ჩანთა, ქვაბებით სავსე დიდი ყუთი და საბჭოთა საქართველოში გამოცემული წიგნების დიდი შეკვრა დევს. იქვე ხის სკამზე შავებში ჩაცმული, მოხუცი ქალი ზის, ერთიანად ცახცახებს და თავს დამტყდარ უბედურებაზე ტირილით ყვება. „ჩემმა დისშვილმა მომაცუა, ბინა გამიყიდა და ქუჩაში დამტოვა. ხელი მქონდა მოტეხილი. მითხრა, შენი მკურნალობისთვის საჭირო საბუთებს ვაგროვებ და ხელი მომიწერო. თურმე სესხის აღებაზე მომანერინა ხელი. არ ვიცი რამდენი ისესხა, ან საიდან. ჩემთვის არაფერი უთქვამს. ბინა რომ გამიყიდეს, მაშინ გავიგე, როცა ერთ დღეს ახალგაზრდა ქალი მოვიდა პოლიციელებთან ერთად და ბინის დაცლა მომთხოვა. აღმასრულებელი ორჯერ იყო მოსული. ბინს დაცლაზე უარი ვთქვი. ახლაც მოტყუებით გამიყვანეს სახლიდან, ვითომ საქმის გასარკვევად. მოვედი და ჩემი ბარგი გარეთ დამხვდა. ნაწილი სარდაფში ჩაუტანიათ, კარზე საკეტი შეცვლილია და ვეღარ შევდივარ. მე რატომ გამიყიდეს ბინა? ფული ვინც აიღო, პასუხიც იმას მოჰკითხონ. არსად არ წავალ. ან სამართალს ვიპოვი, ან აქ მოვკვდები, მაგრამ არსად არ წავალ“, – ამბობს 86 წლის წელი ე-შვილი.

„დეიდას ქუჩაში ხომ არ დაგტოვებ? ჩემთან წავიყვან. მე მისი მეურვე და ერთადერთი მემკვიდრე ვარ. მესმის მისი, განერვიულებულია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა“, – ამ სიტყვებით იმართლებს თავს მეზობლების წინაშე ეკა, წელის დისშვილი. ის 50 წლის არის. ამბობს, რომ ფინანსური პრობლემებისა და სამსახურის დაკარგვის გამო კერძო იპოთეკარისგან აღებული



სესხის დაფარვა ვეღარ მოახერხა და დედის ბინასთან ერთად საკუთარი ბინაც დაკარგა. ოჯახთან ერთად ახლა ნაქირავებ, ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. ეკას მსგავსად იპოთეკური სესხის გამო საქართველოში ბინა ასეულობით ადამიანმა დაკარგა.

„შეგვიჩერეთ გამოსახლებები“, „ბატონო ბიძინა, თქვენი იმედი გვაქვს“, „დაბალპროცენტური გრძელვადიანი კრედიტები“, – ასეთი შინაარსის ტრანსპარანტებით აქციები ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახლთან პერმანენტულად იმართება.

კერძო იპოთეკარებთან, ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ქონების უზრუნველყოფით დადებული სასესხო ხელშეკრულების დარღვევის შედეგად უბინოდ დარჩენილ მოსახლეობას „ქართული ოცნება“ დახმარებას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაჰპირდა. თუმცა, დაპირება დაპირებად დარჩა.



კერძო იპოთეკარებთან, ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ქონების უზრუნველყოფით დადებული სასესხო ხელშეკრულების დარღვევის შედეგად უბინაოდ დარჩენილ მოსახლეობას „ქართული ოცნება“ დახმარებას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაჰპირდა. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა. პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ იპოთეკური კრედიტებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება არც ისე მარტივი აღმოჩნდა: „იპოთეკური სესხების პრობლემასთან დაკავშირებით ვერ დაგპირდებით, რომ

დიდ შედეგებს მივიღებთ. პროცესი რთულია. ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი, ბანკებიც გაჭედილი არიან. ხშირად ჩემს სახლთანაც მხედებიან დაზარალებულები. აღარ ვიცი, როგორც მოვიქცე. ვერ დაგპირდებით, რომ დიდ შედეგებს მივიღებთ, რაც უფრო ღრმად შევდივართ ამ პროცესში, მით უფრო რთული სიტუაციაა“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრაზე. პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ იპოთეკური კრედიტებით გამოწვეული პრობლემების სრული მოგვარებისთვის საჭირო თანხა ბიუჯეტში არ არის. გარდა ამისა,

პროცესს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სიმრავლეც აფერხებს.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, გასულ წელს საქართველოში საკუთარი ბინიდან 111 ოჯახი გამოასახლეს, აუქციონზე კი 718 საცხოვრებელი ბინა და 961 მიწის ნაკვეთი (მასზე მიმაგრებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად) გაიყიდა. 2013 წლის პირველ ორ თვეში აუქციონზე უკვე 132 ბინა გასხვისდა. გადაუხდელი ვალის გამო საკუთარი სახლიდან გამოსახლება კიდევ 500 ოჯახს ემუქრება. ამ ოჯახების ნახევარი კომერციული ბანკების, ნახევარი კი კერძო იპოთეკარების კლიენტია.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, იუსტიციის სამინისტროში იპოთეკის სამართალზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა, რომელიც საკითხის მოგვარების შესაძლო მექანიზმების შექმნაზე მუშაობს. „მევახშეებს დაუნესდებთ მკაცრი რეგულაციები იმისთვის, რომ სხვადასხვა სესხის ხელშეკრულებების გაფორმება ისეთი ადვილი არ იყოს, როგორც დღეს არის. რეგულაციები გამკაცრდება შესაბამის ორგანიზაციებთან და ბანკებთან თანამშრომლობის ფონზე. ამ მხრივ ნოტარიუსის როლიც უნდა გადაიხედოს. მთავარი სამუშაო გვაქვს ჩვენს მოქალაქეებთან, რომლებსაც უწევთ სესხთან თამაში უკიდურესი გაჭირვების გამო. უნდა მივალწიოთ იმას, რომ კერძო იპოთეკარებმა ვეღარ ისარგებლონ სესხის ამლების უმწეობით. ამჟამად, კერძო იპოთეკარებზე მოდის იპოთეკის ბაზრის 34%, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია და მის უკან დიდი ოჯახური ტრაგედიაა. გვინდა, რომ ქვეყანაში წახალისებული იყოს კერძო ინიციატივა, მაგრამ არ დაეუშვებთ იმას, რომ ხდებოდეს ადამიანების გაუბედურება. მოსახლეობა მევახშეებისაგან კანონით უნდა იყოს დაცული“, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ძვირი იპოთეკური სესხები უკრაინასა და საქართველოშია. რუსეთში კომერციული ბანკები იპოთეკური სესხებს წლიურ 11,6-12,5%-ად გასცემენ, უკრაინაში – 17,8-20,3%-ად, ხოლო აზერბაიჯანში 11-13%-ად. რაც შეეხება საქართველოს, აქ მოქმედი 19 ბანკიდან იპოთეკურ სესხებს მხოლოდ 9 ბანკი გასცემს, სესხები წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%-დან 22%-მდე მერყეობს.

ბანკში კრედიტის აღებისას მომხმარებელი იძულებულია აიღოს სიცოცხლის და ბინის დაზღვევა, რაც სესხს დამატებით 1-2%-ით აძვირებს. კლიენტი იხდის ასევე, სესხის აღების, ბინის შეფასების, ანგარიშის მომსახურების, საჯარო რეესტრიდან ქონების ამონაწერის და საკრედი-

ტო ისტორიის „კრედიტ ინფოში“ გადამონმების საკომისიოებს, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აძვირებს სესხს და ზრდის მის ასაღებად საჭირო პროცედურის ხანგრძლივობასაც. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და კერძო იპოთეკარებს უფრო მარტივი პროცედურები აქვთ და სესხსაც უფრო მოკლე დროში გასცემენ, თუმცა ბანკებთან შედარებით ბევრად უფრო მაღალ პროცენტში. ამიტომ მოქალაქეთა ის ნაწილი, რომელსაც სესხის აღება ძალიან ეჩქარება და თან არც სტაბილური სახელფასო შემოსავალი აქვს, სწორედ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და კერძო იპოთეკარებს მიმართავს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი ბექა დოჭვირი ამბობს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ისეთ პირთა რაოდენობა, რომლებიც იპოთეკასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მძიმე შედეგების პირისპირ აღმოჩნდნენ, მკვეთრად გაიზარდა. დოჭვირი მიიჩნევს, რომ პრობლემების უმრავლესობის მიზეზი მოქალაქეთა გაუთვითცნობიერებლობა, დაბალი სამართლებრივი კულტურა და წინდაუხედაობაა. „ხშირად პრობლემა ის არის, რომ ადამიანები დაუფიქრებლად და წაუკითხავად აწერენ ხელს იმ ხელშეკრულებებს, რასაც ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კერძო იპოთეკარები სთავაზობენ. როცა ძალიან ეჩქარებათ ფულის აღება, ყურადღებას არ აქცევენ პროცენტის გრაფიკს, განაკვეთს და პირგასამტეხლოს ოდენობას. სესხის გაფორმების შემდეგ კი არკვევენ, რომ პროცენტი ძვირია და მისი გადახდაც არ არის ადვილი. სამოქალაქო კოდექსი მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებას აძლევს. ამისთვის ხელშეკრულებაში საკუთარი ინტერესების დამცავი გარანტიები იპოთეკართან ერთად მოვალემაც უნდა ჩადოს. პრობლემას ქმნის არა კანონი, არამედ დაბალი სამართლებრივი კულტურა და წინდაუხედაობა. საკანონმდებლო რეგულაციების სისხტე არაფერშეუძლია“.

იუსტიციის სამინისტროში იპოთეკის სამართალზე მომუშავე კომისია ამ დრომდე სულ ორჯერ შეიკრიბა. შესაბამისად, როდის მიიღებს დასრულებულ სახეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, ჯერ უცნობია. იუსტიციის მინისტრის განმარტებით, პირველ ეტაპზე სახელმწიფო იპოთეკური სესხის საფრთხეებთან და ქონების შესაძლო დაკარგვასთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე იზრუნებს და უახლოეს დღეებში სატელევიზიო ეთერში ამ თემაზე მომზადებულ სარეკლამო რგოლს დაატრიალებს. **□**

■ იუსტიციის სამინისტროში იპოთეკის სამართალზე მომუშავე კომისია ამ დრომდე სულ ორჯერ შეიკრიბა. შესაბამისად, როდის მიიღებს დასრულებულ სახეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, ჯერ უცნობია.

ԿԱՇԿԱԾՈՒ ՍԵՆ



ՄԱՅՈՒՆ ԵՐԿՐԵԼ ԼՈՐԵՐԵ ԶՇԵԼԿԻ
ՇԵՆՈՒՆԻ ԿԱՄԵՐԱ





ავტონავიგაცია ხოსტანას ბაზილიზა

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

2010 წლის 21 ნოემბერს დაახლოებით 22 საათზე თბილისში, კოსტავას გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის წინ ერთმანეთს „ბმე“-ს მარკის მსუბუქი ავტომანქანა და „ტოიოტას“ მარკის ჯიპი შეეჯახა.

ავტომანქანების შეჯახებისას მძიმედ დაშავდა „ბმე“-ში მჯდარი ლაშა კალმახელი-

ძე. კალმახელიძე 6 წელია საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობს, ავარიის ღამეს დაახლოებით 10 საათზე ტელევიზიიდან სახლში საკუთარი ავტომობილით ბრუნდებოდა. კოსტავას გამზირზე მომხდარს იგი ასე იხსენებს: „მივდიოდი სახლისკენ, მაკდონალდსთან ვილაცას უნდა შევხვედროდი. ჩემ ზოლში ამ ზოლში მივდიოდი. ვერ დავინახე მანქანა



იმან დამიტვრია. სახე მქონდა მთლიანად დამიტვრეული პირში სისხლი ჩამდიოდა, მაგრამ გონი არ დამიკარგავს. საკაცზე რომ დამიწვინეს და რალაცა გამიკეთეს, შემდეგ არაფერი არ მახსოვს“.

დამიტვრეული ავტომანქანა საჯარიმო სადგომზე გადაიტანეს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს დაშავებული ლაშა კალმახელიძე. მისი ავადმყოფობის ისტორიაში აღნიშნულია, რომ 26 წლის პაციენტს სახის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, ყბის დაზიანება და ორივე ფეხის ნამსხვრევი მოტეხილობები აღენიშნებოდა. სავადმყოფოშივეა გადაღებული ფოტოები, სადაც მისი დაზიანებების ნაწილია აღბეჭდილი.

კალმახელიძეს 7 ოპერაცია გაუკეთეს, მისი ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ლაშა მძიმე მდგომარეობაში იყო. დედის თამარ ბასილაძის თქმით, ექიმები მისი შვილის სიკვდილსაც არ გამოირიცხავდნენ: „თუ გადარჩება, ამაღამ ალბათ გადარჩებაო, დაზიანებები ჰქონდა სახეზე, ყბები მოტეხილი ჰქონდა. ორივე ფეხი დამიტვრეული. ექიმმა მითხრა, როგორც მოზაიკაა დამსხვრეული, ასე ჰქონდა დამსხვრეულიო სახე და ფეხის ძვლებიო, იმდენად დამსხვრეული იყო ბავშვი, რკინებით ძლივს ავანყვეთო“.

„ტოიოტა ლენდკრუიზერის“ მძღოლი და საქმის ორი სხვადასხვა ნახაზი

დაზარალებულის და თვითმხილველების მონათხრობის მიხედვით ავტომანქანა „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200“-ს, რომელიც კალმახელიძის „ბმვ“-ს შეეჯახა, ოლიმპიური ჩემპიონი და იმ დროს პარლამენტის დეპუტატი გიორგი ასანიძე მართავდა. ლაშა კალმახელიძე, რომელსაც გონება არ დაუკარგავს, თავადაც ამბობს, რომ შავ ჯიპში გიორგი ასანიძე იჯდა: „რომ წამოვიწიე, მითხრეს, ნუ გეშინია, შენ დაგეჯახნენო. დავინახე, ასანიძე მხარს იტყობდა, თეთრი, თუ კრემისფერი ზედა ეცვა, მერე თქვა აირბაკი გაიხსნა და მხარი მატყინაო“, – ამბობს კალმახელიძე.

გიორგი ასანიძე ძალოსანია და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა. ასანიძე 2008 წელს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა, მან არჩევნებში გლდანის რაიონში ნაციონალური მოძრაობის სახელით გაიმარჯვა. დღეს გიორგი ასანიძე თბილისის მერიას დაქვემდებარებული ერთ-ერთი სტრუქტურის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია.

■ კალმახელიძის დედა იხსენებს, რომ ავარიიდან ერთი კვირა ისე გავიდა, ლაშასთან არც გიორგი ასანიძე მისულა და არც საქმის გამომძიებელი დავით სართანია. „პალატაში რომ გადმოვედით, არავინ არ მოსულა. მე ვურეკავდე გამომძიებელ დათო სართანისა, მაგრამ მეუბნებოდა, რომ თბილისში არ ვარ და გასული ვარ ქალაქიდანო“.

ჩემსკენ მოდიოდა. შეჯახების შემდეგ ხალხი მესეოდა მეგონა, ფეხით მოსიარულეს დავეჯახე. მოვიდნენ მაშველები, სასწრაფო, დაჭრეს მანქანა, ერთი საათი იწვალეს, რომ გადმოვეყვანე. ძლიერ ტკივილს ვცძნობდი. ორივე ფეხი დამიტვრეული მქონდა, ერთი ფეხი მანქანის პედლებში მქონდა ჩაყოლილი, მეორე ფეხი კი კარები რომ შემოვიდა,

კალმახელიძის დედა იხსენებს, რომ ავარიიდან ერთი კვირა ისე გავიდა, ლაშასთან არც გიორგი ასანიძე მისულა და არც საქმის გამომძიებელი დავით სართანია. „პალატაში რომ გადმოვედით, არავინ არ მოსულა. მე ვურეკავდი გამომძიებელ დათო სართანიას, მაგრამ მეუბნებოდა, რომ თბილისში არ ვარ და გასული ვარ ქალაქიდან“.

კალმახელიძის ოჯახმა ადვოკატი, ფრიდონ ყულოშვილი დაიქირავა, რომელიც საპატრულო პოლიციის გამომძიებელს შეხვდა. „ვნახეთ საქმის მასალები, ნახაზი იყო შედგენილი რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ ლაშა კალმახელიძის მხარეს გადმოვიდა მანქანა და მას დაეჯა. ეს აშკარად ჩანდა ნახაზზე დაახლოებით 30 სანტიმეტრით იყო გადმოსული ლაშას მხარეს. ერთი კვირის შემდეგ მეორედ მოვინახულე გამომძიებელი, ვნახე, რომ უკვე სხვა ნახაზი იყო ჩადებული საქმეში, ის, პირველი ნახაზი იდო, მაგრამ მეორე ნახაზი გაჩნდა საქმეში. მითხრეს, ასე იყო საჭიროო. მეორე ნახაზის მიხედვით, უკვე ლაშას „ბმვ“ იყო გადასული ზოლს იქით და არა „ლენდკრუიზერი“ ზოლს აქეთ. ნახაზში იყო ჩატანებული ისეთი რამ, რაც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს გაეკეთებინა. ასფალტი გაიკანწაო, მაშინ მანქანები იდგა და ვერ ვნახეთო, ასე მითხრეს. ჩვენ არ დაგვიყენებია საკითხი, რომ შემთხვევის ადგილზე გასულიყვნენ“, – ამბობს ადვოკატი.

ამის შემდეგ კალმახელიძის ოჯახი გიორგი ასანიძეს დაუკავშირდა. მათი თქმით, მეორე დღეს ასანიძემ ლაშა საავადმყოფოში მოინახულა. „ასანიძე რას გვეუბნებოდა იცით? თქვენ უნდა აღიაროთ, რომ თქვენ ხართ დამნაშავე. თუ ასე იტყვით, ამ შემთხვევაში დაგეხმარებითო. ჩვენ ამას რატომ ვალიარებდით, მერე იმას მეტყვოდა, ტყუილხარ და რაში უნდა დაგეხმაროო?“, – ამბობს კალმახელიძის დედა.

„ასანიძე ყველაფერს ისე აგვარებდა, რომ აზრი არ ჰქონდა, ვერ ვედავებოდით ვერაფერზე. თვითონ ერთხელ ისიც მითხრა, რომ შენ თუ მოწმეები გყავს, ვინც ამბავს შეესწრო და იტყვიან, რომ მე ვიჯექი საჭესთან, პოლიციის უფროსი ჩამოვა თავის მოადგილეებთან ერთად და ისინი საპირისპიროს იტყვიან, რომ საჭესთან მე არ ვიჯექი. ნადი და დამიმტკიცე, რომ მე ვიჯექიო“, – ამბობს ლაშა კალმახელიძე.

დეკლარაციას გიორგი ასანიძის ჩარევის შემდეგ, კალმახელიძე საავადმყოფოდან ისე

გამოუშვეს, რომ ოპერაციის ხარჯები არ გადაუხდია. ლაშამ საავადმყოფოში 26 დღე გაატარა, ამის შემდეგ 4 თვე სპეციალური სავარძლით გადაადგილდებოდა, კიდევ 11 თვე კი, სიარულს ყავარჯნის დახმარებით ახერხებდა.

მკურნალობის პარალელურად დაიწყო მოლაპარაკება, თუ როგორ დაფარავდა ასანიძე კალმახელიძისთვის მიყენებულ ზარალს. თუმცა იმავდროულად ოჯახმა შეიტყო, რომ გამომძიებამ არსებულ დოკუმენტებში გიორგი ასანიძე არ ფიგურირებდა. „გამომძიებამ არ ჩანდა გიორგი ასანიძე. როგორც ირკვევა, სხვა „დაჯდა“ საჭესთან და ამიტომ აღარ გამოჩნდა“, – ამბობს კალმახელიძეების ადვოკატი.

ავტოსაგზაო შემთხვევიდან ორ წელზე მეტი ხნის შემდეგაც გიორგი ასანიძე უარყოფს, რომ საჭესთან თავად იჯდა. მასთან ინტერვიუ სტუდია „მონიტორმა“ მარტის დასაწყისში ჩაწერა: „მე ვიჯექი უკან, ჩემი მეგობარი იჯდა საჭესთან, მოდიოდა სანინა-ალმდეგო მხარიდან და მოხდა შეჯახება“, – გვითხრა ასანიძემ.

ასანიძის ვერსიის იდენტური ჩანაწერია დოკუმენტში, რომლითაც ამ ავარიის შესახებ გამომძიება შეწყდა. 2011 წლის დეკემბერში პროკურატურის მიერ გამოცემულ დადგენილებაში ასანიძის გვარი ნახსენები არაა, იქ აღნიშნულია, რომ ლაშა კალმახელიძე შეეჯახა ავტომობილს, რომელსაც მოქალაქე თემურ ჯანჯღავა მართავდა, შეჯახებაში დამნაშავე, გამომძიების გადანყვეტილებით, თავად დაზარალებული კალმახელიძე იყო და ამიტომაც სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.

თემურ ჯანჯღავა გიორგი ასანიძის ქვის-ლია, რასაც ასანიძე თავადაც ადასტურებს.

„გამომძიებამ დაადგინა, რომ შეჯახება იყო შერეული, ვინაიდან მანევრირების დროს ჩვენი მანქანის მარცხენა ბორბალი იყო ხაზთან და დანარჩენი ნაწილი იყო შემოტრიალებული, ინერციით შემოტრიალდა“, – ამბობს გიორგი ასანიძე.

ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ გამომძიებამ არსებული დოკუმენტაცია ქართული კანონმდებლობის მიხედვით, კალმახელიძისთვის და ჩვენთვისაც ხელმიუწვდომელია. თუმცა ჩვენ თვითმხილველების მონათხრობით, გიორგი ასანიძის და ლაშა კალმახელიძის შეხვედრების ფარულად გადაღებით მოვიპოვეთ მტკიცებულებები, რაც ავარიის

შესახებ გარკვეულ სურათს ქმნის. ასანიძის ფარულად გადაღება ჩვენ ავარიიდან რამდენიმე თვეში 2011 წელს დავიწყეთ.

პირველი ფარული ჩანაწერი 2011 წლის მარტშია გაკეთებული. ამ შეხვედრის დროს მხარეებმა კალმახელიძის ჯანმრთელობასა და ხარჯების ანაზღაურებაზე ისაუბრეს. ასანიძე ამბობდა, რომ ოჯახის ადვოკატის მიერ დასახელებული თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. ოჯახი ავარიის შედეგად მიყენებული ყველა ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა, ასანიძე კი მხოლოდ საავადმყოფოში ოპერაციების ღირებულების გადარიცხვაზე გამოთქვამდა თანახმობას.

2011 წლის მარტის ფარული ჩანაწერი

ლაშა კალმახელიძე: „საავადმყოფო და რეაბილიტაცია. მე მეტს არაფერს ვითხოვ შენგან, შენ კალკულაცია ხომ გაქვს ოპერაციის?“

გიორგი ასანიძე: „მე ვიყავი მისული და მზადაც ვიყავი ჩამერიცხა ის თანხა. რა გჭირდება ეხლა კონკრეტულად?“

ლაშა კალმახელიძე: „საავადმყოფოში მისვლა და სურათების გადაღება, მაგრამ საავადმყოფოში რამდენიც მივედი, მეუბნებიან, ფული გადაიხადეო“

გიორგი ასანიძე: „ის, რაც თავიდან თქვა ფრიდონმა (ადვოკატი), მაგას მე ფიზიკურად ვერ შევძლებ. საავადმყოფო და კიდევ რაღაცაო.“

2011 წლის მარტის შეხვედრაზე გიორგი ასანიძემ დაზარალებულთან პირისპირ პირველად ახსენა თემურ ჯანჯღავა. შეგახსენებთ, რომ პროკურატურის დადგენილებაში სწორედ ჯანჯღავაა მითითებული ასანიძის ავტომანქანის მძღოლად.

გიორგი ასანიძე: „მე მითხრა სართანიამ (გამომძიებელი), რომ დასკვნა დადებულია, ექსპერტიზა ჩატარებულია. მე, ეხლა სიმართლე გითხრა, არ მივედი იმასთან, სართანიასთან ერთხელ ვიყავი. თემური რომ დაჰკითხეს იმის მერე არ ვყოფილვარ“.

ლაშა კალმახელიძე: „თემური ვინ არის?“

გიორგი ასანიძე: „ჩემი ქვისლი. გაუგებრობაში იყო თვითონ ის გამომძიებელი, მე საქმე უნდა დავამთავროო“.

ლაშა კალმახელიძე: „თემურას არ ვიცნობ ვინ არის. მე და შენ უნდა დავილაპარაკოთ, შენ უნდა დამაყენო ფეხზე“.

ასანიძემ იმ შეხვედრაზე თქვა, რომ გამომძიებელ დავით სართანიას შეხვდა და უთხრეს, რომ საქმის დასახურად მხოლოდ ლაშას ჩვენება იყო საჭირო.

გიორგი ასანიძე: „სართანია რომ მოვა, მე-ლაპარაკა გუშინ მე საქმე უნდა დავხუროო რას შვებოო, ამდენი ხანი ამ საქმეს ვერ ვაჩერებო, ისე მითხარით ან ასე მითხარითო პროცესი დავინწყოო“.

ლაშა კალმახელიძე: „მე და შენ უნდა შევთანხმდეთ რა დავწერო, მე ხომ არ დავწერო რომ წამოვდექი დავინახე გიორგი, რომელსაც ხელი ტკიოდა“.

გიორგი ასანიძე: „არ ვიცი გადავედი და მოხდა შეჯახება ჩამიჭრა ვილაცამ და იძულებული ვიყავი. მე როგორც ვიცი, ოთხშაბათს უნდა მაგას მოსვლა მე რომ დამირეკა 3 დღის წინ რას შვებოო რას აპირებოო... შერეული ბრალეულობა იყო და ერთმანეთი გაითვალისწინეთ ეს იყო მაგათი პოზიცია პოლიციის. შენ რომ დაზიანებულიყავიო აბსოლუტურად ვერავინ ვერაფერს ვერ გეტყვოდაო“.

ლაშა კალმახელიძე: „შენ დაზიანებები არ მიგიღია ხო?“

გიორგი ასანიძე: „როგორ არა, ერთი კვირა ვინქი“.

გიორგი ასანიძის და კალმახელიძის კიდევ ერთი შეხვედრა ტელევიზიაში შედგა, ჩვენ ამ შეხვედრის მხოლოდ აუდიო ჩანაწერი გვაქვს, შეხვედრაზე კალმახელიძემ დეპუტატს დამტვრეული ავტომანქანის და მკურნალობაში დახარჯული თანხების ანაზღაურება კიდევ ერთხელ მოსთხოვა.

ამ შეხვედრაზე გაიკვავა, რომ ავარიის დროს ორივე მათგანი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო.

ფარული ჩანაწერი ტელევიზიასთან

გიორგი ასანიძე: ჩივიხარ. „არ ჩივიხარ საქმე ხომ უნდა დაიხუროს, შენ ნასვამი ხომ იყავი ეს სულ სხვა პროცედურაა?!“

ლაშა კალმახელიძე: „შენ ფხიზელი იყავი?“

გიორგი ასანიძე: „მე არ ვიყავი ფხიზელი, ვინ იძახის რომ ფხიზელი ვიყავი?“

ლაშა კალმახელიძე: „ორივე ნასვამები ვიყავით, მაგრამ ჩემი ნასვამობა ყვირის და შენ საერთოდ არ ხარ საქმეში“.

გიორგი ასანიძე: „შენ ახლა უბრუნდები წარსულს“.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით ასანიძე ახლა უფრო დაბეჯითებით საუბრობდა

■ გამომძიებლისგან განსხვავებით ჩვენ არ გაგვიჭირდა ამ კამერით გადაღებულ ვიდეო მასალაში დაფიქსირებული პიროვნების ვინაობის დადგენა. ჩვენ ვიდეო-ჩანაწერი დეტალურად შევისწავლეთ და კიბეებზე მდგომი პიროვნების კადრი პირველი არხის რამდენიმე თანამშრომელს ვაჩვენეთ. პირველი არხის თანამშრომლებმა ვიდეო ჩანაწერში მათი კოლეგა ზურა კუპატაძე ამოიცნეს, კადრებში ჩანს, რომ ზურა ავარიის შემდეგ კოსტავას გამოზრისკენ გარბის.

ავარიაში კალმახელიძის დაზარალებულებზე მისი თქმით, გამოძიებამ ამოიღო ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებდა, რომ ავარია კალმახელიძის მიზეზით მოხდა. მოგვიანებით ეს ვიდეო-ჩანაწერი ასანიძემ კალმახელიძეს მიანოდა, თუმცა კადრებში არაა ასახული ის დეტალები, რაზეც გიორგი ასანიძე ფარულ აუდიო ჩანაწერში საუბრობს. კადრებში მხოლოდ ტელევიზიის კიბეები და კოსტავას გამზირის მცირე ფრაგმენტი ჩანს, თუმცა ამ ვიდეოში საერთოდ არ არის ასახული ის ადგილი, სადაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ბარაკაშიის ვიდეო და მონეაჟი, რომელიც გამოძიება არ დაკითხა

აღნიშნულ ვიდეო-მასალაში ჩანს, რომ ავარიის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის კიბეებზე ერთი მამაკაცი იდგა, რომელიც, სავარაუდოდ, შეჯახების თვითმხილველი გახდა. ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ კიბეებზე მდგარი მამაკაცი კოსტავას გამზირისკენ იყურება, ხედავს ტრასაზე მანქანების შეჯახებას და გარბის შემთხვევის ადგილისაკენ.

ჩვენ საქმის გამომძიებელს დავით სართანას დავუკავშირდით და ვკითხეთ, დაჰკითხა თუ არა ის პირი, რომელიც გარეთ დამონტაჟებულმა ვიდეო-კამერამ დააფიქსირა, როგორც შემთხვევის თვითმხილველი. „ტელევიზიიდან ამოღებული კამერის ჩანაწერი მე ვნახე, მაგრამ მანდ პიროვნებას კი არა, მანქანას ვერ ამოიცნობდი. მანქანა ვერ დავინახე და მით უფრო სახეზე დამენახა და გამერჩია, ვინ იყო“, – გვითხრა გამომძიებელმა სატელეფონო საუბრისას.

გამომძიებლისგან განსხვავებით ჩვენ არ გაგვიჩივრდა ამ კამერით გადაღებულ ვიდეო-მასალაში დაფიქსირებული პიროვნების ვინაობის დადგენა. ჩვენ ვიდეო ჩანაწერი დეტალურად შევისწავლეთ და კიბეებზე მდგომი პიროვნების კადრი პირველი არხის რამდენიმე თანამშრომელს ვაჩვენეთ. პირველი არხის თანამშრომლებმა ვიდეო ჩანაწერში მათი კოლეგა ზურა კუპატაძე ამოიცნეს, კადრებში ჩანს, რომ ზურა ავარიის შემდეგ კოსტავას გამზირისკენ გარბის.

„მე რაც დავინახე ზემოდან მომავალი ჯიპი უფრო ახლოს იყო ხაზთან ვიდრე ქვემოდან მომავალი „ბმე“, როცა მოხდა შეჯახება, „ბმე

„გადავარდა და ჯიპიც. პირველი მე ვიყავი, მე დავინახე და წამები დამჭირდა, რომ ჩამერბინა. რომ დავინახე ლაშა იყო, შემდეგ კიდევ უფრო ვიაქტიურე. ჩემი თანამშრომელი, რა თქმა უნდა, ვიცანი და ასანიძეც ვიცანი – ტელევიზორიდან მყავდა ნანახი, სპორტსმენია დეპუტატი იყო და ვიცანი. ერთი მძლოლი იყო იყო ასანიძე სპორტსმენი, მეორე ჩვენი თანამშრომელი ლაშა“, – იხსენებს ზურა კუპატაძე.

ჩვენ შეკითხვაზე, ამ ორი მძლოლის გარდა კიდევ ვინმე ხომ არ იყო ავარიაში მოყოლილ ორ ავტომობილში? კუპატაძემ გვიპასუხა: „არა არავინ არ იჯდა“.

ავარიის დროს, „ტოიოტას“ ჯიპის მძლოლი რომ გიორგი ასანიძე იყო, ამას ადასტურებს კიდევ ერთი თვითმხილველი – კახა მელიქიძე, რომელიც იმ დამით ტელევიზიაში იმყოფებოდა და ავარიის დროს იქვე მდებარე მაღაზიაში მიდიოდა. მელიქიძე რეჟისორია და საზოგადოებრივ არხზე მუშაობს.

„ბენდელიანის კუთხეში მოგვესმა ავარიის ხმა, მივედით და ვნახეთ, რომ მანქანასთან იდგა ასანიძე. დაჯახებულ მანქანასთან იდგა მძლოლის მხარეს. რომ ჩავიხედე მანქანაში ვიცანი ლაშა, ჩვენი თანამშრომელი. ასანიძემ მითხრა, თვითონ გადმოიხტაო. გზა გადმოიქრაო და აქეთ მხარეს დამეჯახაო. მე ვუთხარი, თვითონ როგორ გადმოვიდა-მეთქი. ისე იდგა მანქანები, რომ შეხედავდი მანქანებს, მიხვდებოდი გასწორებული იყო ლაშას მანქანა ისე იდგა სწორად. ეს იყო დაჯახებული და შემდეგ იყო მოტრიალებული“, – ამბობს კახა მელიქიძე.

მელიქიძე, ისევე როგორც კუპატაძე, ადასტურებს, რომ გიორგი ასანიძე ავტომანქანაში მარტო იყო. „არავინ არ იყო, მხოლოდ ასანიძე იყო მარტო შემდეგ მოვიდნენ. „ბმე“-ში ლაშაც მარტო იყო. ამ ლაპარაკში მოვიდა რამდენიმე ადამიანი და გაიყვანეს, მოარიდეს. სხვა დადგა, მერე ვინც აღმოჩნდა, თითქოს, მძლოლად. მაღალი გამხდარი ბიჭი იყო. როგორც აღმოჩნდა, შემდეგ ის მაღალი ადამიანი, რომელიც დარჩა იძახის, რომ მე ვიყავიო, მაგრამ ის ადამიანი მერე მოვიდა.

ის არ იჯდა. ასანიძე იჯდა და სხვა შემდეგ მოვიდა“, – გვითხრა კახა მელიქიძემ.

თვითმხილველების მონათხრობს უარყოფს გიორგი ასანიძე. ამბობს, რომ შეჯახებისას მანქანის უკანა სავარძელში იჯდა.

„მონიტორი“: „მონემები ამბობენ, რომ

■ **სამართალდამცავებმა** ძიება ისე დაასრულეს, არ დაჰკითხეს თვითმხილველები, რომლებიც ამბობენ, რომ მზად არიან სამართალდამცავებსაც დაუდასტურონ, რომ საჭესთან გიორგი ასანიძე იჯდა. ჩვენ საქმის გამომძიებელს დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვა დავუსვით.



ავტოავარიის შედეგად დაზიანებული ლამა კალმახელიძის მანქანა

თქვენ იჯექით საჭესთან და იქ სხვა პირი თემურ ჯანჯღავა არ ყოფილა“.

გიორგი ასანიძე: „არა, არა, შეიძლება ვილაცხას ჰქონდეს ინტერესი და დაადასტუროს. ამას უარყოფს“.

„მონიტორი“: „რამდენი იჯექით მანქანაში?“

გიორგი ასანიძე: „ორნი, მე და თემური. მე უკანა მხარეს ვიჯექი“.

სანიშნაღმდეგოს ამტკიცებს სამაშველო სამსახურის ის წარმომადგენელი, რომელმაც შემთხვევის ადგილზე სამაშველო ოპერაციას უხელმძღვანელა და კალმახელიძე დაზიანებული მანქანიდან გადმოიყვანა. მასთან ინტერვიუ იმავე ღამით „მოამბის“ კორესპონდენტმა ჩაწერა. მაშველი ამბობდა, რომ მანქანაში თითო ადამიანი იყო. კერძოდ, „მოამბის“ არქივიდან ამოღებულ სიუჟეტში მაშველი ნოდარ ჭუმბაძე ჟურნალისტის შეკითხვაზე, რამდენი ადამიანი იყო მანქანებში? პასუხობს: „ორივეში თითო მძღოლი იჯდა“.

სამართალდამცავებმა ძიება ისე დაასრულეს, არ დაჰკითხეს თვითმხილველები, რომლებიც ამბობენ, რომ მზად არიან სამართალდამცავებსაც დაუდასტურონ, რომ საჭესთან გიორგი ასანიძე იჯდა. ჩვენ საქმის გამოძიებელს დავეუკავებოდით და რამდენიმე კითხვა დავეუსვით.

დავით სართანია: „გიორგი ასანიძე, მახსო-

ვს მისი მანქანა იყო, მაგრამ საჭესთან თვითონ არ იყო.“

„მონიტორი“: „გამოძიების მასალებით რა გამოიკვეთა, საჭესთან თვითონ იყო, თუ რა დადასტურდა?“

დავით სართანია: „საჭესთან იჯდა სხვა პიროვნება, რომელიც იძახის საჭესთან ვიჯექი მეო, ადამიანი იძახის საჭესთან ვიჯექი მეო.“

„მონიტორი“: „თქვენ გიორგი ასანიძესთან, იმ დროს პარლამენტის წევრი იყო, რაიმე კომუნიკაცია გქონდათ?“

დავით სართანია: „თქვენ, უკაცრავად, დაკითხვას მინყობთ, თუ რა? ან საერთოდ ვინ ბრძანდებით ამ საქმესთან დაკავშირებით? მე არ ვარ ვალდებული საერთოდ რაიმე ახსნა-განმარტება გაგიკეთოთ“.

საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებას ასანიძე დაზარალებულთან საუბარშიც ხშირად ახდენდა. ამბობდა, რომ ამ ავარიის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებზე იყენებინებოდა.

ფარული ჩანაწერი

გიორგი ასანიძე: „მაშინ მოვა აგერ მილიციის უფროსის მოადგილე, რომელიც ჩამოვიდა იქედან ეგრევე და იტყვიან, რომ ის კაცი იჯდა რულზე. მაგით შენ რა შეგეცვლება, ან მე რა შემეცვლება. ეგ არის შენი

მხრიდან კიდევ გართულება. ეგ მე ვანოზეც მაქვს ნალაპარაკები, ვანოშაც იცის ეს საქმე და ყველა მოადგილეზემაც იცის. დაჟე ვანომ მკითხა, რა მოხდაო თუ რამეში დაგჭირდე აქ ვარო“.

დაზარალებულთან საუბარში ასანიძემ სამეგრელოში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებაც მოყვა. ამბობდა, რომ სამეგრელოს იმდროინდელმა გუბერნატორმა ზაზა გოროზიამ სენაკში მომხდარი ავარიის საქმე უპრობლემოდ მოუგვარა.

ფარული ჩანაწერი

გიორგი ასანიძე: „ძალიან ცუდი ავარია მოგვივიდა, გადავრჩით ყველანი, დავიმტვერით, მაგრამ ბორდიურზე შევევარდით. განათების ბოძი მოწყდა და რალაცეები დავამტვერეთ, სერიოზულად დავიმტვერეთ რა, 100, 120-ით შევევარდით“.

ლაშა კალმახელიძე: „რა მანქანით?“

გიორგი ასანიძე: „ამ მანქანით, კაცო“

ლაშა კალმახელიძე: „დათარსულია“

გიორგი ასანიძე: „გეუბნები რა. გოროზიაც ჩამოვიდა და ყველაფერი. აი, 10 წუთში ყველაფერი ისე ლამაზად მოაგვარეს. ერთია, რომ ავარია მოხდა, მაგრამ მაინც სახელი არ შეიღალხოსო. პატივისცემაა, რალაცა, ხო იცი. 10 წუთში მოაგვარეს ყველაფერი“.

გიუჯეტიდან დაფარული მკურნალობის ხარჯები

დეპუტატმა გიორგი ასანიძემ თანამდებობრივი მდგომარეობა ლაშა კალმახელიძისთვის მკურნალობის ღირებულების ნაწილის გადარიცხვის დროსაც გამოიყენა. ერთ-ერთ ჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ჰპირდება დახმარებას იგი დაზარალებულ კალმახელიძეს ოპერაციების თანხის დაფარვაში. თუმცა წყარო მისი საკუთარი ჯიბე კი არა, ბიუჯეტია. „შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ძმაო, ჩემი ჯიბიდან ამოვა თუ ვინმეს ჯიბიდან ამოვა. საავადმყოფო შენ არ გადარდებს. გადაირიცხება, გადაირიცხა, თუ ნაწილი გადაირიცხეს ეს შენი თემა აღარ არის“, – ამბობს მაშინდელი დეპუტატი.

ამავე ფარულ ჩანაწერში ასანიძე თანხის გადარიცხვის გზებზეც საუბრობს და უფრო თბილისის მერიის იმედი აქვს, ვიდრე – ცენტრალური ბიუჯეტის. „მერიამი, ჯანდაცვას გილაური წყვეტს, ვნახავ ესენი რას იზამენ, რა ნაწილს გადაირიცხავენ და შემდეგ

გილაურს ვეტყვი. ეგ აბსოლიტურად იმათ პრობლემა აღარ აქვთ პირდაპირ. მე შემდეგი ოპერაცია ვაფშე არ მანერვიულებს მილიონი პროგრამაა და იმაში ჩაგვამ. პროსტო როგორ არის იცი? ქეში არც მე არ მაქვს, არც შენ არ გაქვს“.

მერიის ჯანდაცვის პროგრამა, რომელშიც ასანიძემ კალმახელიძე ჩასვა, გლდანინაძის ნაძალადევის გამგეობიდან დაფინანსდა. ამას ადასტურებს თავად ლაშა კალმახელიძე. მერია რომ სამკურნალო ხარჯების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო, მტკიცდება ჩვენს ხელთ არსებული ორი დოკუმენტიც. ერთ ნერილს ხელს მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა აწერს, ნერილში ლაშა კალმახელიძის მკურნალობისთვის ორი ათასი ლარის გამოყოფაზე საუბარი. მეორე ნერილი გლდანინაძის გამგებელს ეკუთვნის. აქ აღნიშნულია, რომ გლდანინაძის გამგეობაში მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ასანიძის შუამდგომლობა შევიდა, ასანიძემ ლაშა კალმახელიძისთვის მკურნალობის თანხის ანაზღაურება ითხოვა. საბურთალოზე დაბადებულ და მცხოვრებ კალმახელიძეს ასანიძის მოთხოვნით გლდანის გამგეობამ 1500 ლარი გადაურიცხა.

სახელმწიფო თანხებით კალმახელიძისთვის დახმარებაში სამართლებრივ პრობლემას ვერ ხედავს გიორგი ასანიძე.

გიორგი ასანიძე: „ჩვენ ნამდვილად დავეხმარეთ იმ ადამიანს და რამდენიმე ათასი ლარი გადაურიცხეთ, საოპერაციო თანხა“... „მონიტორი“: „გადარიცხვაში ხომ არ გულისხმობთ, რომ ბიუჯეტიდან გადაურიცხეთ?“

გიორგი ასანიძე: „მე ვიბიდან უნდა ამელო და გადამერიცხა? ცოტა ვერ ვხვდები კითხვის შინაარსს. მე გამოვიყენე ის კანონმდებლობა რომელიც იყო და დავეხმარე მაქსიმალურად ამ ადამიანს“.

„მონიტორი“: „მე იმას გეკითხებით ბიუჯეტიდან გადაურიცხეთ თუ თქვენი პირადი თანხა?“

გიორგი ასანიძე: „რა თქმა უნდა, ჩვენ დავეხმარეთ საბიუჯეტო თანხით, რადგან იყო პროგრამა რომელიც ითვალისწინებდა ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ან სხვა ტრამვის დროს ადამიანის დახმარებას. აქედან გამომდინარე, დავეხმარეთ როგორც შემძლო იმის მიხედვით“.

■ „შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ძმაო, ჩემი ჯიბიდან ამოვა თუ ვინმეს ჯიბიდან ამოვა. საავადმყოფო შენ არ გადარდებს. გადაირიცხება, გადაირიცხა, თუ ნაწილი გადაირიცხეს ეს შენი თემა აღარ არის“.


„მონიტორი“: „ჩემი კითხვა იმაში მდგომარეობს, ხომ არ გამოიყენეთ ის რომ პარლამენტის წევრი იყავით?

გიორგი ასანიძე: „არა, არა, არავითარ შემთხვევაში“.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმები ლაშა კალმახელიძეს დღემდე აწუხებს. უსახსრობის გამო მას არც სავალდებულო სარეაბილიტაციო პროგრამა გაუვლია. კალმახელიძის ოჯახი ამბობს, რომ ასანიძემ მხოლოდ ოპერაციების ღირებულების ნაწილი გადარიცხა, მკურნალობისთვის ოჯახის მიერ გაწეული რამდენიმე ათასი ლარი ასანიძეს არ გადაუხდია. კალმახელიძეს არც დამტკრეული ავტომანქანის ზარალი აუნაზღაურდა, რაც პროკურატურის დადგენილების შესაბამისად 9 ათასი ლარად იქნა შეფასებული.

„ოპერაციები ჯამში 11 ათას რაღაცა დაჯდა. ნაწილი გადმოარიცხინეს მერიას და გამგეობებს, საიდანაც რაღაცეებს არიცხინებდა“, – ამბობს ლაშა კალმახელიძე. რაც

შეეხება ნაღდ ფულს, ან ასანიძის პირად დახმარებას, ასეთი რამ ოჯახს საერთოდ არ მიუღია „ერთი კაპიკი არ მიგვიღია მისგან. ასანიძემ ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც კი განაცხადა, მე სადა მაქვს მაგის საშუალებაო. შეიძლება მეგობრებში ავაგროვო ერთი 5 ათასი ლარი და იმითი დავეხმაროო“, – ამბობს ლაშას დედა.

ლაშა კალმახელიძის თქმით, მას შემდეგ, რაც გამოძიებას ასანიძის სასარგებლო ჩვენება მისცა, სადაც ყოფილი პარლამენტარის გვარი საერთოდ არ უხსენებია, ასანიძე აღარ დაკავშირებია. ქვეყანაში ბოლო თვეებში მოხდარი ცვლილებების შემდეგ, ლაშა კალმახელიძეს იმედი აქვს, რომ სამართალდამცავები მისი საქმით ხელახლა დაინტერესდებიან და გამოიკვლევენ ვინ იყო ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დამნაშავე და დაამტკიცებენ რომ საჭესთან მართლაც გიორგი ასანიძე იჯდა: „თუ ახლიდან დამკითხავენ, ძიება დაიწყება, მინდა, რომ სამართალი აღდგეს, მინდა ყველამ იცოდეს, რა იყო და როგორ“, – ამბობს იგი. 

Radio *Commersant*

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

ფსიქიატრია

ადამიანი მანხიჯი ნხაში

ახალ ფსიქიატრიულ განყოფილებებში ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ფსიქიატრიული განყოფილებები აღჭურვილია ახალი ავეჯით და მონყობილობებით, თუმცა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს და სისტემური ცვლილებებისთვის ბევრად მასშტაბური ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

ლიკა ზაკაშვილი

„ეს არის მაგალითი, როცა დასავლეთის სტანდარტი ნაწილობრივ გადმოგვაქვს. დასავლეთში ფანჯრები არ იღება, მაგრამ იქ ისეთი ვენტილაციაა, რომ განყოფილებები ჩახუთული არ არის. ჩვენთანაც დააყენეს კონდინციონერები, მაგრამ ეს კონდინციონერი ვენტილაციას არ აკეთებს და მხოლოდ აცივებს.“ – ამბობს ფსიქიატრი მანანა შარაშიძე.

გიორგის 10 ნლის წინ ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი დაუდგინდა. დაავადების საწყისს ეტაპზე წამლებს არ სვამდა, დეპრესია დაეწყო, დაითრგუნა და როგორც თავად ამბობს, სახლიდან თითქმის არ გადიოდა.

„ფაქტიურად ჩავიკეტე სახლში, გარეთ არ გავდიოდი, რაღაც დროის შემდეგ ოჯახის წევრებმა რეაბილიტაციის ცენტრში მიმიყვანეს, თავიდან იმდენად ცუდად ვიყავი, ცენტრის კიბეებზე ახლობლებს ხელით ავყავდი, შემდეგ ნელ-ნელა გამოვკეთდი. ორი წლის შემდეგ მძიმე დეპრესიას თავი დავალწიე. მძიმე მედიკამენტების მიღებას შეეგუე და მსუბუქ მედიკამენტებზე გადავედი. ფსიქოთერაპიამ ძალიან კარგად იმოქმედა ჩემზე,“ – ამბობს გიორგი.

ის ახლა სხვა თანამოაზრეებთან ერთად ადვოკატირების ჯგუფის წევრია, ჯგუფის წევრები კვირაში ორჯერ ფსიქიკური ჯანმრთელობის დანერგვებულ პროგრამებში პაციენტებს ხვდებიან, მათ საჭიროებებზე ესაუბრებიან და საკუთარ გამოცდილებას აცნობენ. გიორგი მათი ე.წ. განმანათლებელია, ის არის ადამიანი, რომელსაც წარსულში ფსიქიკური პრობლემა ჰქონდა, ისწავლა ამის მართვა და მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

გიორგი საკუთარ პრობლემებზე ბევრს არ საუბრობს, ამბობს, რომ ახლა კარგად არის და ძირითადად იმ ადამიანების ისტორიებს ჰყვება,



რომლებსაც კვირაში ორჯერ სხვადასხვა ფსიქიკურ განყოფილებებში ხვდება.

„ასათიანზე როცა ვმკურნალობდით, გარემო უფრო კარგი იყო, ეზოში გავდიოდით, ბევრი მნახველი მოდიოდა. ახალ დანერგვებულ სივინროვეა და თავს უფრო ჩაკეტილად გრძნობენ. რაღაცები შეიცვალა, მაგალითად, მობილურის ქონა ნებადართულია, თანამედროვე ტექნიკაც შეიტანეს, მაგრამ ახალ დანერგვებების ერთი დიდი მინუსი ისაა, რომ ეზო-



ფოტო: ღირსი ვინა

ები არ არის, ამიტომ პაციენტებს ვერ ასეირნებენ. მნახველების სიმცირესაც უჩივიან,“ – ამბობს გიორგი და განმარტავს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებთან ოჯახის წევრები ურთიერთობას ერიდებიან და მნახველების მოუსვლელობის მიზეზიც ხშირად ეს არის. „ამაზე ძალიან წუხან, გვიყვებიან თავიანთ ძველ ამბებს. ოჯახის წევრებთან დაკავშირებას გვთხოვენ.“ – ამბობს გიორგი.

„დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას ბევრი ვერ ბედავს. საზოგადოების დამოკიდებულების ეშინიათ, ამას თვითსტიგმატიზაცია ჰქვია. ხშირად მეკითხებიან – როდემდე უნდა ვიყოთ აქ? ამ ადამიანებს პოსპიტლების დატოვება უნდათ, მაგრამ საცხოვრისები არ აქვთ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ასეთი საჭიროების მქონე ადამიანების საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე იფიქროს.“ – ამბობს გიორგი.
რამდენიმე წლის წინ ფსიქიკური ჯანმრთე-

ლობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი პრობლემა განყოფილებებში პაციენტთა მიმართ არასათანადო მოპყრობა და „საბჭოთა“ დროის ძველი სტაციონარების არსებობა იყო. სახალხო დამცველის ძველი ანგარიშები სწორედ ასეთი შემთხვევების შესახებ გვიყვება. სახელმწიფოს მთავარი ამოცანაც არასათანადო მოპყრობის აღკვეთა და ძველი სტაციონარების გაუქმება იყო. სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ პრობლემების მოგვარება ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებით დაიწყო. დახურა ასათიანის განყოფილება და მის ნაცვლად ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში ფსიქიატრიული განყოფილებები გახსნა. როგორც სახალხო დამცველის ახალ ანგარიშშია აღნიშნული, ფიზიკური გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ფსიქიატრიული განყოფილებები აღჭურვილია ახალი ავეჯით და მოწყობილობებით, თუმცა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს და სისტემური ცვლილებებისთვის ბევრად მასშტაბური ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

თუმცა, არც ახლადგანხსნილი განყოფილებები უნაკლო. ახალ განყოფილებებში ბუნებრივი განათების უზრუნველსაყოფად, საკმაოდ დიდი ზომის ფანჯრებია დამონტაჟებული, თუმცა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ფანჯრები არ იღება და ოთახები ბუნებრივი გზით არ ნიავება. სახალხო დამცველი ფსიქიატრიული სტაციონარების დირექტორებს პაციენტებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, განყოფილებების სათანადო ვენტილაციით უზრუნველყოფის რეკომენდაციას აძლევს.

„ეს არის მაგალითი, როცა დასავლეთის სტანდარტი ნაწილობრივ გადმოგვაქვს. დასავლეთში ფანჯრები არ იღება, მაგრამ იქ ისეთი ვენტილაციაა, რომ განყოფილებები ჩახუთული არ არის. ჩვენთანაც დააყენეს კონდინციონერები, მაგრამ ეს კონდინციონერი ვენტილაციას არ აკეთებს და მხოლოდ აციებს.“ – ამბობს ფსიქიატრი მანანა შარაშიძე.

ახალი განყოფილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ეზოების არარსებობაა. მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე გახსნილ ბავშვთა ფსიქიატრიულ განყოფილებებს სპეციალურად მოწყობილი ეზო არ აქვს, რაც ფაქტობრივად ბავშვებს განყოფილებაში „კეტავს“.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დარგის სპეცილისტების აზრით, ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება

რება საკმარისი არ არის და მთავარი სისტემური მიდგომების შეცვლაა. დაწესებულებების დიდ უმრავლესობაში მკურნალობის მოძველებული მეთოდები და სამედიცინო პრაქტიკა დამკვიდრებული. ამის შესახებ სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშშიც არის აღნიშნული.

მკურნალობა დღეს საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის ორი ტიპის სტაციონარი მოქმედებს: მწვავე მდგომარეობაში მყოფთა და ხანგრძლივი დაყოვნების. ფსიქიატრი მანანა შარაშიძის თქმით, გრძელვადიანი დაყოვნების დაწესებულებებში პაციენტებს იაფასიანი წამლებით მკურნალობენ. „იაფასიანი წამალი, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს აქტიურ ნივთიერებას. ერთის ნაცვლად სამი აბი უნდა მიიღო, რომ ერთი მილიგრამის შედეგი ჰქონდეს.“ – ამბობს მანანა შარაშიძე.

დაწესებულებებს დაბალი ხარისხის მედიკამენტების შესყიდვას 2010 წელს „შესყიდვების კანონში“ შესული ცვლილება ავალდებულებს. კანონის მიხედვით, სახელმწიფო დაწესებულებებმა ტენდერის გზით დაბალი ღირებულების წამლები უნდა შეიძინონ. ექსპერტების აზრით, შესყიდვების კანონში არსებული ეს ნორმა უნდა შესწორდეს.

მწვავე განყოფილებებს, პაციენტზე თვეში ბიუჯეტიდან 840 ლარი ერიცხება, ხანგრძლივი დაყოვნების სტაციონარი კი პაციენტზე 450 ლარს იღებს. დღეში დაახლოებით 15 ლარი გამოდის, რაც პაციენტის კვებისთვის, წამლისთვის და სხვა კომუნალური გადასახადებისთვის ძალიან ცოტაა. ამიტომ ფსიქიატრი გიორგი გელიშვილის თქმით, სწორად გრძელვადიანი დაყოვნების დაწესებულებაში გადასული პაციენტი მალევე უზრუნველდება მწვავე განყოფილებას, რადგან იქ შესაბამისი ხარისხის წამლები არ ხვდება.

დაბალი ხარისხის მედიკამენტები მხოლოდ ხანგრძლივი დაყოვნების სტაციონარების პრობლემა არ არის. ხარისხს ამბოლათორიულ განყოფილებებში გაცემული წამლებიც ვერ აკმაყოფილებს.

გიორგი გელიშვილის თქმით, ამბოლათორიუმში პაციენტებს ე.წ. ტრიციკლურ ანტიდეპრესანტებს ასმევენ, რომელსაც ევროპასა და ამერიკაში პაციენტებს საერთოდ აღარ უნიშნავენ. მედიკამენტს პაციენტი დღეში სამჯერ იღებს და ახალი თაობის პრეპარატებისგან განსხვავებით გვერდითი ეფექტები აქვს.

„დაუშვათ, მწვავე განყოფილებიდან პაციენტი

10 დღეში გამოვიდა, სადაც დღეში 10 ლარის საუკეთესო პრეპარატს იღებდა. მიდის ამბოლატორიაში და რა ხდება იქ? იქ ხდება სიტუაცია, სადაც საუკეთესო შემთხვევაში წამალს გამოყოფილი ექნება 10 ლარი თვეში. შეუძლებელია 100-ლარიანი წამლით მიღწეული შედეგი შეინარჩუნო 10 ლარიანი წამლით. ამბულატორია მწირი რესურსის გამო იძულებულია პაციენტს იაფი, უხარისხო და გვერდითი ეფექტის მქონე წამალი მისცეს. რის გამოც პაციენტები ხშირად წამლის მიღებაზე უარს ამბობენ და მათი მდგომარეობა მწვავედება. ამის შემდეგ ის ისევ უბრუნდება სტაციონარს. ეს მანკიერი წრეა.“ – ამბობს გიორგი.

დაბალი ხარისხის ამბულატორიული მკურნალობის გამო ხშირია პაციენტთა რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევები. ერთი და იგივე პაციენტები წლის განმავლობაში სამჯერ, ხუთჯერ და ათჯერ წევა მწვავე განყოფილებაში. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეჰოსპიტალიზაციად ითვლება ერთსა და იმავე ნოზოლოგიურ ჯგუფში შემავალი დაავადების დიაგნოზით პაციენტის სტაციონარში განმეორებით განთავსება 7-დღიანი შუალედით. 2011 წლის განმავლობაში რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევა 17%-ში დაფიქსირდა, ხოლო 2012 წლის განმავლობაში – 23%-ში.

„ამის თავიდან აცილება შესაძლებელია იქნებოდა, უფრო ძლიერი და ინტენსიური რომ ყოფილიყო საავადმყოფოს გარე სერვისი. 2010 წლის შემდეგ სტაციონარული პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა. რეჰოსპიტალიზაციის შემთხვევათა ზრდის გამო ბიუჯეტში თანხის გაზრდა ყოველ წელიწადს გახდება საჭირო. ამერიკაში და ევროპაში ფსიქო-სარეაბილიტაციო კომპონენტი და მობილური სერვისები მხოლოდ იმიტომ გაააქტიურეს, რომ რეჰოსპიტალიზაცია შემცირებინათ,“ – ამბობს გიორგი გელეიშვილი.

2013 წლის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრულია 13 725 000 ლარით. 2012 წლის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ პროგრამის ბიუჯეტის 28% ამბულატორიულ მომსახურებაზე დაიხარჯა, 72 – კი სტაციონარზე. რაც შეეხება 2013 წლის პროგრამის ბიუჯეტის გადანაწილებას კომპონენტების მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2013 წლის „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ დაზუსტდება.

პაციენტთა მკურნალობა შეზღუდული დონით მოიცავს რეაბილიტაციის და ადაპტაციის პრო-

გრამებს. დაფინანსება სარეაბილიტაციო ლონისიძიებების ხარჯების დაფარვას ვერ უზრუნველყოფს.

ფსიქო-რეაბილიტაციის კომპონენტის დაფინანსება „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამაში 2004 წელს ჩაიწერა და ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 70 ათასი ლარით ფინანსდება, რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის 1% შეადგენს. ეს დაფინანსება 100-150 პაციენტს ყოფნის. ისიც მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და თელავში.

„ბოლო ორმოცმა წელმა დასავლეთში დაამტკიცა, რომ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფსიქოტროპული წამლები. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია მხოლოდ ხატვას და ხელსაქმეს არ გულისხმობს. რეაბილიტაცია ადამიანის სოციალური უნარ-ჩვევების გავარჯიშებაა. პაციენტებს დაავადების მართვა უნდა ვასწავლოთ, ამიტომ მათ რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ საკუთარი დაავადების შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენთან პაციენტების სათანადოდ ინფორმირება არ ხდება. დამოკიდებულებაც ასეთია: როგორ უნდა გააგებინო ფსიქიურად დაავადებულს რამე? ეს არის მითი, და დასავლეთში ასე 50 წლის წინ ფიქრობდენ.“ – ამბობს მანანა შარაშიძე.

გარე სერვისების არარსებობაზე სახალხო დამცველის ანგარშიც არის საზგასმული, სადაც ნათქვამია, რომ დღეს არ არსებობს სერვისი, რომელიც მოეხმარება ფსიქიატრიული პრობლე-

■ დაბალი ხარისხის მედიკამენტები მხოლოდ ხანგრძლივი დაყოვნების სტაციონარების პრობლემა არ არის. ხარისხს ამბულატორიულ განყოფილებაში გაცემული წამლებიც ვერ აკმაყოფილებს.



ფოტო: ანთონი პოპოვა

მების მქონე პირებს გარე სამყაროსთან ადაპტაციაში.

1980-იანი წლებიდან საქართველოში ფსიქიატრიაში 100 000 მოსახლეზე სანოლების რაოდენობა 150 დან 33-მდე შემცირდა. ოლონდ ჩვენთან ამ დინამიკას თან არ ახლდა საავადმყოფოს გარე ფსიქიატრიული სამსახურების განვითარება. აშკარაა, რომ საქართველოში ფსიქიატრიული სერვისის დეფიციტია.

„პირველ რიგში, ეს არის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერი, ოლონდ არა იმ სახით როგორც ჩვენ გვაქვს. ნევროლოგიური დისპანსერი აფთიაქის მსგავსად, მხოლოდ წამლის მიწოდებელი არ უნდა იყოს. ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში აუცილებლად უნდა ტარდებოდეს ფსიქო-სოციალური ინტერვენციები, რაც პაციენტის საზოგადოებაში ინტეგრაციას შეუწყობს ხელს. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ტარდება როგორც ამბოლატორიაში, ასევე განყოფილებაში და ასევე საავადმყოფოს დღის ცენტრებში. თემზე დაფუძნებულ მიდგომაში შედის დღის ცენტრებიც, საღამოს პაციენტი სახლს უბრუნდება. თემზე დაფუძნებული სერვისებში მულტიდისპლინური მობილური ჯგუფებიც შედის. მობილური ჯგუფი იქ მიდის, სადაც პაციენტი. ეს ჯგუფი მას ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარებასთან ერთად სხვა პრობლემების გამკლავებაშიც ეხმარება.“ – ამბობს მანანა შარაშიძე.

2010 წელს საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კოალიციამ კვლევა ჩატარა, რომელმაც ცხადყო, რომ არსებულ ამბულატორიულ მომსახურებასთან შედარებით თემზე დაფუძნებული სერვისი მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. იგი მნიშვნელოვნად ამცირებს რეჰოსპიტალიზაციას და ფსიქიატრიულ სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობას, აუმჯობესებს პაციენტთა ფსიქიკურ მდგომარეობასა და სოციალური ფუნქციონირების ხარისხს. ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოში შეიძლება ჩაერთონ ახალ სერვისში, 14 600 -ია.


რამდენიმე თვის წინ „ღია ფონდი საზოგადოების“ ფინანსური მხარდაჭერით თემზე დაფუძნებული მიდგომის ცენტრი შეიქმნა. მულტიდისპლინარულ ჯგუფში შეიდი ადამიანი შედის: ფსიქოლოგი, ექთანი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი, ოკუპაციური თერაპევტი, დასაქმების სპეციალისტი და თანაგანმანათლებელი. ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი გელეიშვილის

თქმით, ეს გუნდი პაციენტს მისი საჭიროებიდან გამომდინარე ყველაფერში ეხმარება. „თუ მას სჭირდება დიაგნოსტიკა და წამალი – ექიმი ეხმარება. სომატური პრობლემების მოგვარებაში ექთანი ერთვება, თუ აქვს დავა სასამართლოში, აქაც გუნდის რომელიმე წევრი მის გვერდით დგას.“ – ამბობს გიორგი გელეიშვილი.

გიორგი გელეიშვილის თქმით, ამ ცენტრის გახსნა ანდრია ურუშაძის მინისტრობის პერიოდში გადაწყვიტეს, როცა ჯანდაცვის სამინისტრომ ამ ტიპის სერვისის დასაფინანსებლად მზადყოფნა გამოთქვა.

„ჭიაბერაშვილის მინისტრობის დროს მივიღეთ წერილი, სადაც ეწერა, რომ 2013 წელს ეს სერვისი დაფინანსდება და იქნება ჩადებული თბილისის მასშტაბით სახელმწიფო ბიუჯეტში, ამან მოგვცა მწვანე შუქი, რომ სერვისი აგვეშეშავებინა. ამ ეტაპზე სერვისის სოროსის ფონდი აფინანსებს. გვიყიდა მანქანები, დაგვიქირავა ოფისი, სამი თვის მანძილზე სახელფასო ფონდისთვის საჭირო თანხას გვირიცხავს, თუმცა იმედი გვქონდა, რომ სამი თვის შემდეგ პროგრამის დაფინანსებას სახელმწიფო გააგრძელებდა. ახლა მთავრობა შეიცვალა და ჯერ-ჯერობით ამ ცენტრის საქმიანობის დაფინანსების პირობა ბიუჯეტს არ მოუცია. იმედია საბოლოოდ რაღაც შეიცვლება.“ – ამბობს გიორგი გელეიშვილი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში არსებული პრობლემები ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით არ ამოიწურება. მკურნალობის მოძველებულ პრაქტიკასთან და ფსიქო-სოციალური კომპონენტის სიმწირესთან ერთად, პრობლემად რჩება მოსახლეობაში ფსიქიკური პრობლემების დროული დიაგნოსტიკა, კადრების პროფესიული მომზადების დონე და სერვისების არათანაბარი განაწილება ქვეყნის ტერიტორიაზე, რაც ხარისხიანი სერვისის მნიშვნელოვან ხელიშემშლელ ფაქტორად რჩება.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ფსიკიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმის, ძირითადი მიზანი ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებისთვის ხარისხიანი სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფაა. რეფორმის განხორციელების ნაწილში კი მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ფსიქიატრიული მომსახურების რეფორმირების გრძელვადიანი ხედვის შემუშავება, სამოქმედო გეგმის, პროგრამის შექმნა და ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება ამ უმნიშვნელოვანესი პროცესის ხელშესაწყობად. 

„ბოლო ორმოცმა წელმა დასავლეთში დაამტკიცა, რომ ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფსიქოტროპული წამლები. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია მხოლოდ ხატვას და ხელსაქმეს არ გულისხმობს. რეაბილიტაცია ადამიანის სოციალური უნარ-ჩვევების გავარჯიშებაა. პაციენტებს დაავადების მართვა უნდა ვასწავლოთ.“

ენის დახლვეუდი ენოლოგია

ენის ნორმათა დამდგენი კომისია, ენის სახელმწიფო პალატა – სტრუქტურები, რომელთა ძირითადი ფუნქციაც სახელმწიფო ენის ნორმირება და ამ ნორმების დაცვის უზრუნველყოფაა, თითქმის ათი წელია, აღარ არსებობს.

ეკა მაღალდაძე



„საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის გასაგები ქართული სალიტერატურო ენის პარალელურად, ჩვენში გაჩნდა ერთგვარი ენობრივი სუროგატი, რომელიც თანდათან მკვიდრდება სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ არასამთავრობო სექტორში, მედიასა თუ სამართალწარმოებაში და ა. შ. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წიაღში დაბადებული ეს ენობრივი სუროგატი, რომელსაც პირობითად „პროექტების ენა“ შეიძლება დავარქვათ, თანდათანობით იქცა „სიახლისა და თანამედროვეობის“, ანუ ე. წ. „ახალი

მენტალობის“, განუყოფელ ატრიბუტად და „საფირმო ნიშნად“, – ნერდა მწერალი კოტე ჯანდიერი ჯერ კიდევ 2008 წელს გამოქვეყნებულ წერილში „იდიოტიზმის ანატომია“.

კოტე ჯანდიერი სწორედ იმას უსვამდა ხაზს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა უგულვებელყოფას სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებში და, მათ შორის, განათლების სამინისტროში დასაქმებული მაღალჩინოსნები უწყობდნენ ხელს.

ქართული ენა დღეს თავისუფალ დინებასაა მიყოლილი. ქვეყანაში არ არსებობს რაიმე ორგანო, რომელიც ენის ნორმებს დაიცავდა და

გააკოტროლებდა. არადა ენა ვითარდება და დადგენილი ნორმები წლების განმავლობაში იცვლება. ენათმეცნიერები ამბობენ, რომ ეს ბუნებრივი პროცესია, თუმცა ენის დინებაზე მიშვება გაუმართლებელია.

ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც 2004 წელს გაუქმდა, ენის ნორმებს აკონტროლებდა, მისი უფლებამოსილება ყველა იურიდიულ პირზე ვრცელდებოდა. პალატა სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებებში სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას ადევნებდა თვალ-ყურს.

ენის სახელმწიფო პალატა, თბილისისა და რეგიონული სამსახურების ჩათვლით, 220 თანამშრომელს აერთიანებდა. პალატის ნაცვლად, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ცალკე სამსახური შეიქმნა. თუმცა შექმნისთანავე მუშაობის მიმართულება შეიცვალა და მისი ფუნქცია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის შემსწავლელ პროგრამებზე მუშაობა გახდა.

ენათმეცნიერი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იმ ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც ქვეყანაში ენის პოლიტიკას შეიმუშავებდნენ და მისი სინმინდის დაცვაზე იზრუნებდნენ, ვერ მოხერხდა. ამგვარ ინსტიტუტს სათანადოდ უნდა ეზრუნა კვლევაზე, ენის სწავლებაზე, როგორც ზოგადად, ისე უმცირესობების მიმართულებით, გაეტანა ენის კანონი, რომელიც წლების წინ შეიქმნა და ჩავარდა.

კახა გაბუნია იხსენებს, რომ სამეცნიერო ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრაცია სწორი სტრატეგიული სვლა იყო, რადგან კვლევისა და სწავლების ერთ სივრცეში მოქცევა სასურველია, თუმცა საქართველოში ეს ყველაფერი ცუდად, დარგის ინტერესების შელახვითა და მიზერული დაფინანსებით განხორციელდა.

იმისთვის, რომ წლების შემდეგ ერთმანეთის გაგება შეეძლოთ, სახელმწიფო ენას სტანდარტიზაცია სჭირდება. „წლების განმავლობაში ენაში უამრავი უცხო სიტყვა თუ ფორმა დამკვიდრდა, გარკვეულ ეტაპზე კი უცხო, დომინანტი ენა მორფოლოგიაშიც იჭრება და ენობრივ სისტემას ანადგურებს, შენ კი არანაირი იარაღი აღარ გაქვს მასთან საბრძოლველად. წლების შემდეგ შეიძლება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაციაც კი გაუჭირდეთ,“ – ამბობს კახა გაბუნია.

2004 წელს გაუქმდა ენის ნორმათა დამდგე-

ნი მუდმივმოქმედი კომისიაც. ენათმეცნიერები, ფილოლოგები თანხმდებიან, რომ ნორმათა დამდგენი და შემდეგ ამ ნორმების შესრულების მაკონტროლებელი ინსტიტუტია ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუმცა ვის უნდა ექვემდებარებოდეს და რა უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს, ამაზე განსხვავებული პოზიციები არსებობს.

კახა გაბუნია ფიქრობს, რომ სტრუქტურა, რომელიც ენის სისუფთავეზე იზრუნებს, უშუალოდ პარლამენტს უნდა ექვემდებარებოდეს. რადგანაც ამა თუ იმ სამთავრობო უწყებაში მოქცეულ სტრუქტურას საკმარისი უფლებამოსილება და ლეგიტიმაცია არ ექნება. ეს უნდა იყოს ზეინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც სამინისტროებსაც (მათ შორის, განათლების სამინისტროსაც) კონკრეტული ნორმების დაცვას თუ ტექსტების ჩასწორებას დაავალდებულებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, ფილოლოგ ლევან ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ენაზე ენათმეცნიერებმა უნდა იზრუნონ, და არა საჯარო მოხელეებმა. მისი აზრით, ენის მაკონტროლებელი სტრუქტურა უნდა არსებობდეს, მაგრამ არა სახელმწიფო დაწესებულების ფორმით. კონკურსის წესით ეს ფუნქცია აკადემიურ ინსტიტუტს უნდა გადასცეს. დეპუტატის აზრით, ამ მხრივ კვალიფიციური რესურსი და საუკეთესო ბაზა არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს აქვს.

„ახლა არის ვითარება, როდესაც ნორმას ჟურნალისტი ადგენს და ენის ეკოლოგია ყოველდღე ირღვევა. ინგრევა ლექსიკა, სინტაქსი. ინსტიტუტს მკაცრი კონტროლის უფლება უნდა ჰქონდეს. ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ხელიდან გამოვა, ნორმების შესაბამისი უნდა იყოს. მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელიც, რომლის სარედაქციო მასალაში, ახალ ამბებში, ენის ეკოლოგია პრინციპულად დაცული უნდა იყოს,“ – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი ავთანდილ არაბული ადასტურებს, რომ ბოლო ხანებში ქართული ენის უამრავი ნორმა შეიცვალა. „ჩვენ სისტემატურად ვმუშაობთ ლექსიკონებზე, გამოვცემთ კიდევ პატარა ლექსიკონებს – სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი, ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი და ა.შ. ამ გამოცემებში შეტანილია ყველა დღეს არსებული სახელი, მაგრამ

მათი დამკვიდრებისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო ინსტანცია, რომელსაც წარუდგენთ ამ სახელეებს, ისინი დამტკიცდება და ყველასთვის სავალდებულო გახდება“.

ენათმეცნიერები თანხმდებიან, რომ ენა კანონმა უნდა დაიცვას, ნორმის დარღვევას კი კონკრეტული სანქცია უნდა მოჰყვებოდეს. ამ აზრს ლევან ბერძენიშვილიც იზიარებს:

„ნორმების დაცვის შესახებ კანონი მისაღები გვაქვს. ენის ნორმა არ არის ის, რაც ჩვენ გვეჩვენება, ნორმა დადგენილია და ის უნდა დაიცვა. კანონმა უნდა თქვას, რომელია არსებული ნორმა და რას ნიშნავს მისი დაცვა, დარღვევაზე კი რა ტიპის ჯარიმაა“, – მიიჩნევს ბერძენიშვილი.

კახა გაბუნიაც თვლის, რომ სტრუქტურული ერთეულის შექმნა ნორმათა დამდგენი სამუშაოების დაწყების გარეშე წარმოუდგენელი იქნება. „დღეს არ არსებობს ის, რისი დაცვაც უნდა გაკონტროლდეს. ვის აქვს პასუხი, რა როგორ უნდა ვთქვათ ან დავწეროთ, როცა ათი წლის განმავლობაში ენაში უკონტროლოდ მკვიდრდებოდა ამდენი უცხო და არაბუნებრივი ფორმა თუ სიტყვა, რას გვეტყვის სტრუქტურა, როგორ გადაწყვეტს? ნორმაც ცოცხალია, ისიც იცვლება. ენა ივსება, შემოდის სიტყვები, რომლებიც არსად ფიქსირდება. ყოველ თავმოყვარე ქვეყანაში ყოველ წელს გამოიცემა ორთოგრაფიული ლექსიკონის ჩასწორებები. ჩვენთან ათ წელზე მეტია არაფერი განახლებულა“, – ამბობს ის.

განსხვავებული პოზიცია აქვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორს, ენათმეცნიერ ნინო დობორჯგინიძეს, რომელიც ფიქრობს, რომ თანამედროვე ეპოქაში ენა სრულიად სხვა დილემების წინაშე დგას: „დღეს ენის მტერი რომელიმე უცხო ენიდან შემოჭრილი ფორმები კი არ არის, არამედ ისაა, რომ ენა თანამედროვე გამოწვევებს ვეღარ პასუხობს. ქართულ ენაზე შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და გადაცემა ეპოქისთვის შესაბამისი, რელევანტური ფორმით“, – ამბობს ნინო დობორჯგინიძე.

ასეთ ფორმად ის ტექსტების ელექტრონული ბაზის – ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნას მიიჩნევს. ესაა ქართულ ენაზე საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ტექსტების დოკუმენტირება თანამედროვე ლინგვისტურ-ტექნიკური კრიტერიუმების მიხედვით.

„ბი-ბის“ ასნლიანი პროგნოზით, 21-ე საუკუნის ბოლოს ენების 75%-ზე მეტი ფუნქ-

ციებს დაკარგავს. „ეს იმიტომ, რომ ეს ენები ინფორმაციის თანამედროვე, 21-ე საუკუნისთვის რელევანტური, ელექტრონული, იგივე კორპუსული ფორმით მოპოვებას, გადაცემა-სა და გადამუშავებას ვერ უზრუნველყოფს“, – ამბობს ნინო დობორჯგინიძე. მისი აზრით, ყველაზე დიდი გამოწვევა, რასაც დღეს ქართულმა ენათმეცნიერებამ უნდა უპასუხოს, სწორედ ენის ნაციონალური კორპუსის შექმნაა. დღეს პატარა ენებს სრული გაჩანაგებით რუსულის ან ინგლისურის ექსპანსია კი არ ემუქრება, არამედ ის, რომ პროგრესისათვის მზად არ ვართ. თუ თანამედროვე აპრობირებულ მეთოდებს არ გამოვიყენებთ, შესაძლოა, ქართული ენა მალე სამუზეუმო ექსპონატად იქცეს.

„რეალობა ისეთია, რომ 20 - 30 წლის შემდეგ ჩვენს შვილებს გაცილებით მეტი დრო დასჭირდებათ კონკრეტული ინფორმაციის ქართულ ენაზე მოსაძიებლად, ვიდრე მისი ალტერნატივის ინგლისურად მისაღებად. მეცნიერებისა თუ ხელოვნების ნებისმიერი დარგი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს განვითარების ტენდენციებს, სხვაგვარად რა პატრიოტული მიზნებიც არ უნდა გვქონდეს, იძულებულები გავხდებით, რომ ჩვენს შვილებს ბიოლოგია ქართულის ნაცვლად ინგლისურად ვასწავლოთ, რადგან ქართულად შესატყვისი მასალა, უბრალოდ არ გვექნება“, – ამბობს ნინო დობორჯგინიძე.

ენათმეცნიერს მიაჩნია, რომ ენის ნორმათა დამდგენი სტრუქტურა მხოლოდ მას შემდეგ უნდა შეიქმნას, რაც ენის კორპუსი იარსებებს, რადგან ენაში მიმდინარე პროცესების გამოვლენა და ტენდენციების დანახვა მხოლოდ კორპუსში, ელექტრონულ ბაზაში თავმოყრილ ფორმებზე დაკვირვებითაა შესაძლებელი.

თუ ქვეყნისთვის სახელმწიფო ენა სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ხელისუფლებამ ენის განვითარებაზე უნდა იზრუნოს, რაც კომპლექსურ მიდგომას და სერიოზულ ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქართული ენის სინმინდის დაცვა იყო, როგორც ჩანს, მის წევრებს, ჯერეჯრობით ამ საკითხზე ფიქრიც კი არ დაუწყიათ. „ლიბერალის“ კითხვაზე, თუ რა იგეგმება და რას აპირებენ ქართულ ენასთან დაკავშირებით, პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ივანე კილურაძე გვპასუხობს, რომ ამ საკითხის შესახებ არაფერი იცის. **▲**

■ 2004 წელს გაუქმდა ენის ნორმათა დამდგენი მუდმივმოქმედი კომისიაც. ენათმეცნიერები, ფილოლოგები თანხმდებიან, რომ ნორმათა დამდგენი და შემდეგ ამ ნორმების შესრულების მაკონტროლებელი ინსტიტუცია ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს, თუმცა ვის უნდა ექვემდებარებოდეს და რა უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს, ამაზე განსხვავებული პოზიციები არსებობს.



„ამ საღამოს შემიძლია გამოვაცხადო, რომ მომდევნო ერთი წლის განმავლობაში ავლანეთიდან სამშობლოში დაბრუნდება კიდევ 34 000 ამერიკელი ჯარისკაცი. ეს შემცირება გაგრძელდება და მომავალი წლის ბოლოს დასრულდება ჩვენი ომი ავლანეთში.“ –

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა



„სამართალდამცავი ორგანოს ორი მოვალეობაა: პატივი სცეს დეპუტატის სტატუსს და გაიმეოროს მოწვევა რამდენჯერმე და თუ დეპუტატს ეს არ ესმის, მაშინ თავად უნდა მივიდეს და, ყველა მისი უფლების დაცვით, განახორციელოს დაკითხვა.“ –

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი



„საქართველო თანმიმდევრულობისა და მიზანდასახულობის მაგალითია შეთანხმებული რეფორმების განხორციელების გზაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ასევე გააგრძელებენ, მიუხედავად გამოწვევებისა, კოჰაბიტაციის პროცესში.“ –

გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე



„ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, სამართალდამცავი და უსაფრთხოების სტრუქტურების დეპოლიტიზაციისა და კოჰაბიტაციის აუცილებლობაზე. 8 თებერვლის მოვლენებმა დაგვანახა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევას.“ –

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი



www.ucnobifm.ge



ყველაზე სიბნელეში
ვამოძიებთ ყველაზე
მნიშვნელოვან
დასაწყობი
გადაწყვეტილებას



PROFY

ყოველი კვირა 15:30